ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 2021 | №187 (8716) | ფასი: 60 თეთრი

## „ისინი შეხვდნენ პრეზიდენტს და ჩაიხუტეს გულში“

სააკაშვილის შემოყვანის საქმეზე დაკავებულ მამა-შვილ წოწორიებს პატიმრობა მიესაჯათ



გვ.5

# „სააკაშვილს გაათავისუფლებენ, ოღონდ ახლა სპექტაკლია მოსაფიქრებელი“



გვ.3



## კახა კუკავა: „გახარიამ პრაქტიკულად „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი“



## „შემდეგი ხელისუფლება თუ იქნება კოალიციური, „ქართულ ოცნებასაც“ ექნება თავისი ადგილი“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „30 წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ხმების აფეთქება არ ხდება. დღეს დააფუძნო პარტია და ხვალ ხელისუფლება დაამარცხო, შეუძლებელია“

## „სააკაშვილის ექსტრადირების შემთხვევაში, უკრაინის სუვერენული უფლებაა, რას გააკეთებს“



გვ.2

უჩა ნანუაშვილი: „როცა გირგვლიანის საქმეზე სააკაშვილს ასამართლებ, როგორც მინიმუმ, განაჩენის გამომტან მოსამართლეებს არ უნდა აწინაურებდე“

## „მეორე ტურში ნეიტრალიტეტი არ არსებობს“

დავით ბაქრაძემ გახარიას განცხადება შეაფასა



გვ.2

## „არჩევნების ასეთი მკაცრი შეფასება არ მახსოვს“

თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილის ჩამოსვლამ მდორე პროცესი გამოაცოცხლა“



გვ.4



გვ.5

## შავ ზღვაში ნატო-საქართველოს ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩატარდა

ISSN 1987-9385

**2** მამა იოანე ცუხიშვილს ფეისბუქი გაუტეხეს და მისი სახელით 65.000 მიითვისეს

**5** „პროკურატურამ ციხეს მოსთხოვა, რომ სააკაშვილს დარეკვის უფლება არ ჰქონდეს“

**5** „ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებული აკო ჭელიძე და გიორგი კაპილაძე შეიძლება მოკლან“

**6** რუმინეთის პარლამენტმა მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა

# „სააკაშვილის ექსტრადირების შემთხვევაში, უკრაინის სუვერენული უფლებაა, რას გააკეთებს“

## უჩა ნანუაშვილი: „როცა გირგვლიანის საქმეზე სააკაშვილს ასამართლებ, როგორც მინიმუმ, განაჩენის გამომტან მოსამართლეებს არ უნდა აწინაურებდე“

იაგო ნაცვლიშვილი

**არის თუ არა სააკაშვილი უკანონო პატიმარი? თუ მოხდება მისი ექსტრადირება უკრაინაში, შეუძლია თუ არა უკრაინის პრეზიდენტს მისი შეწყალება? როგორ მიიღებენ დასავლეთში მის პატიმრობას და რატომ არ არის ისეთივე მძაფრი კრიტიკა, როგორც მელიას დაჭერისას იყო? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საუბრობს.**



***— სააკაშვილი არის თუ არა უკანონო პატიმარი?***

— სააკაშვილთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ის გადაწყვეტილებები, რაც არის გამოტანილი მის წინააღმდეგ, იყოს მაქსიმალურად გასაგები და გამჭვირვალე. ჩვენ ვხედავთ, რომ მთავარი კითხვის ნიშნები არის სასამართლოს მიმართ. როგორც უკვე გამოტანილ, ასევე შემდგომ სხვა საქმეებთან – მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ ერთგვარი ნდობა არ არსებობს სასამართლოსთან დაკავშირებით და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულებამ ეს ტესტი ჩააბაროს. მაქსიმალურად იყოს გასაგები ის, რა ბრალდებაც არის წარდგენილი და მოხდეს კარგად განხილვა და ახსნა საზოგადოებისთვის.

არაერთ საქმეში არსებობს უამრავი დარღვევა და გასაგებია, ამაზე არავინ არ დავობს. თუმცა, არის საკითხები, რაც იწვევს გარკვეულ კითხვის ნიშნებს. რატომ 9 წლის შემდეგ. ხომ შეიძლებოდა მანამდეც მომხდარიყო. იგივე ის, რომ ექსტრადიციის მოთხოვნა შესაძლებელი იყო რამდენიმე წლის წინ და რატომ გახდა მაინცდამაინც არჩევნების წინ სააკაშვილის თემა პოპულარული. 9 წელია გასული და მაინცდამაინც არჩევნების წინ ხდება ხოლმე ასეთ საკითხებზე დისკუსიები, რითაც ხელისუფლება ცდილობს რაღაც თემებზე საუბარს. მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ შერჩევითი სამართლის ნიშნები არ უნდა ჩანდეს.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— მაგალითად, როდესაც გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით არის გამოტანილი განაჩენი პრეზიდენტის მიმართ, მას შეეძლო ნებისმიერი მსჯავრდებულის შეწყალება, ეს არის ძალიან სპეციალური უფლება, რომელიც აქვს მინიჭებული პრეზიდენტს და მას შეუძლია ეს უფლება გამოიყენოს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რამდენად კითხვის ნიშნის ქვეშ არის უშუალოდ შეწყალება.

მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, გირგვლიანის საქმეზე დარღვევა რომ არის, ამაზე მსოფლიო საუბრობს, ევროსასამართლოს გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება, მაგრამ პრობლემაა ის, რომ როდესაც ამ საქმეზე ასამართლებ ყოფილ პრეზიდენტს, მინიმუმ, ის მოსამართლეები მაინც არ უნდა გყავდეს დღეს დაწინაურებული, რომლებიც ამ საქმეში მონაწილეობდნენ როგორც საქალაქოში, ისე სააპელაციოში. მხედველობაში მყავს სააპელაციოში ბატონი ლევან მურუსიძე და საქალაქოში ქალბატონი ნაირა გოგიტაშვილი, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა. ეს ორი მოსამართლე დღეს დაწინაურებულია. ცოტა ხნის წინ უვადო მოსამართლეებად გამწესდნენ და, რა თქმა უნდა, ეს აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს. როგორ შეიძლება იმ საქმეზე დასაჯო პრეზიდენტი, რომლის გამომტან მოსამართლეებსაც აწინაურებ.

***— დასავლეთიდან არ ისმის ისეთი მკაფიო გზავნილები, რაც იყო იგივე მელიასთან მიმართებით. რატომ?***

— იმიტომ, რომ გარკვეულ საკითხებზე დანაშაულის ნიშნები სახეზეა და ამაზე არავინ არ დავობს, რომ ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში უმძიმესი მდგომარეობა იყო და წახალისებებს ჰქონდა ადგილი.

***— ანუ, დასავლეთიც არ არის ჩამოყალიბებული სააკაშვილის თემაზე, რომ ის პოლიტპატიმარია?***

— მე ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. იმიტომ, რომ რეალურად გარკვეულ საქმეებზე შესაძლოა სხვა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის თემა იყო, მაგრამ უშუალოდ პრეზიდენტის პასუხისმგებლობაც იყო იმაზე, რაც ხდებოდა. ძალიან ბევრი კარგიც კეთდებოდა, მაგრამ ცუდიც ბევრი იყო და ეს ყველაფერი გვახსოვს. ამ საქმეებზე როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები იმეორებდნენ, რომ უნდა მომხდარიყო გამოძიება. იგივე გირგვლიანის საქმეზე, 7 ნოემბრის საქმეზე, ფოტოგრაფების საქმე და ა. შ. ძალიან ბევრი ასეთი საქმეა, სადაც ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს.

***— უკრაინა ითხოვს ექსტრადირებას. ჩვენი ხელისუფლება კი ამბობს, რომ არ აპირებენ, მაგრამ თუ გადასცემენ მას, აქვს თუ არა უფლება, რომ შეიწყალოს უკრაინის პრეზიდენტმა?***

— უკრაინას შეუძლია საკუთარ მოქალაქესთან დაკავშირებით ის გადაწყვეტილება მიიღოს, რაც უნდა. შეწყალება მისი სუვერენული უფლებაა. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს საკითხი პოლიტიკური თემაა. სამართლებრივი ჩარჩოები და ფორმები ყოველთვის მოიძებნება, ის თუ რა ფორმით არის შესაძლებელი, რომ ეს მექანიზმი განხორციელდეს. თუკი გადაცემა მოხდება, მაშინ მოხდება არა მსჯავრდებულის, არამედ ალბათ უფრო სხვა ფორმით. რეალურად გარკვეული შესაძლებლობები აქვს უკრაინის ხელისუფლებას.

აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო აზრს. უბრალოდ, ეს სამართალი უნდა აღსრულდეს აუცილებლად. მაგრამ დაგვიანებული სამართალი, სამართალი არ არის. როდესაც გავიდა წლები და მხოლოდ ერთი ადამიანის მიმართ არის გამოტანილი განაჩენი და იმდროინდელი არაერთი ჩინოვნიკი დღესაც სისტემაშია და მაშინაც არღვევდნენ კანონს და დღესაც ჩართულია ამ პროცესში, ეს შერჩევით სამართალზე მიუთითებს.

***— როდესაც პრემიერი აცხადებს, რომ თუ ჭკვიანად არ იქნება სააკაშვილი, მას კიდევ დაუმატებენ მუხლებს. ამას როგორ მიიღებს დასავლეთი? არის თუ არა დასავლეთისთვის ცალსახა სიგნალი, რომ ხდება ყოფილი პრეზიდენტის გასამართლება პოლიტიკური მოტივაციით?***

— რა თქმა უნდა, პრემიერის გადასაწყვეტი არ არის ეს. ქვეყანაში არსებობს პროკურატურა და სასამართლო. არიან სპეციალური ორგანოები, რომელთაც ხელეწიფებათ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ეს ყველაფერი კი ხაზს უსვამს და ამტკიცებს იმას, რაზეც ბევრი საუბრობს, რომ პროკურატურა და სასამართლო ემორჩილება აღმასრულებელ ხელისუფლებას. პრემიერმა ფაქტობრივად დაადასტურა ეს, რომ ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები. ჩვენ დიდი ხანია ვსაუბრობთ, რომ ეს ორგანოები ქვეყანაში დიდი ხანია პოლიტიზირებულია. ეს განცხადებაც ამის პირდაპირი აღიარებაა.

***— არის საუბარი იმაზე, რომ ყოფილი პრეზიდენტების მიმართ დასავლეთში არცთუ ისე მაღალი ინტერესია. ეს ასეა?***

— გააჩნია პრეზიდენტს და კონკრეტულ შემთხვევებს, ასევე გარემოებებს, რა პროცედურები მიმდინარეობს. თუ საუბარია სხვა პროცესებზე, რომელიც ჩვენ ქვეყანაში არის, აქ ბევრი კითხვის ნიშანი ისმის. იგივე ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით. რამდენად დემოკრატიულია ქვეყანა და საით მიდის. ეს ყველაფერი გავლენას მოახდენს. ანუ, იზოლირებულად მხოლოდ სააკაშვილის საქმეების განხილვა არ მოხდება და ეს მოხდება იმ პროცესებთან ერთად, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. იგივე სასამართლოსთან დაკავშირებით, იგივე ტოტალურ მოსმენებთან დაკავშირებით. ძალიან ბევრ სერიოზულ დარღვევასთან ერთად, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა, იგივე საერთაშორისო ორგანიზაციების და დასავლეთის თვალში.

# ნიკა მელიას სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა



ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრს ნიკა მელიას პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეუწყდა.

მელიასათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის დადგენილებას 79-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგ პარლამენტის არც ერთ წევრს ხმა არ მიუცია.

პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ საკუთარი სურვილით სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის თაობაზე განცხადება 29 ივლისს მას შემდეგ გააკეთა, რაც მმართველმა გუნდმა შარლ მიშელის შეთანხმების დოკუმენტი ანულირებულად გამოაცხადა. წერილობითი განცხადება კი, პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, მელიამ 3 აგვისტოს წარადგინა.

– ერთი ადამიანის პოლიტიკურად ახირებულ ნებას პარლამენტი მუდმივად წინ ვერ აღუდგება, – ასეთი იყო პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ქადაგიშვილის პოზიცია საკითხის პლენარულ სხდომაზე წარდგენისას.

ამასთან, როგორც ქადაგიშვილმა განმარტა, წინა შემთხვევაში, როცა პარლამენტში უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტაზე 54 ოპოზიციონერი დეპუტატის ანალოგიური შინაარსის განცხადებები იყო წარდგენილი, ისინი არ დაკმაყოფილდა, რადგან არ სურდათ, საქართველოში დემოკრატია სწრაფად დასამარებულიყო, მათ შორის იმ ადამიანის კარნახით, რომელიც ახლა საპყრობილეშია და რევოლუციური პროცესებით არის დაინტერესებული.

# „მეორე ტურში ნეიტრალიტეტი არ არსებობს“

## დავით ბაქრაძემ გახარიას განცხადება შეაფასა

– თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში ნეიტრალიტეტი არ არსებობს. შენ მხარს უჭერ ოპოზიციას და ამით შენი წვლილი შეგაქვს ხელისუფლების დამარცხებაში, ან არ უჭერ მხარს ოპოზიციას და ამით ეხმარები ხელისუფლებას, რომ დარჩეს.

ასე აფასებს პოლიტიკოსი დავით ბაქრაძე გიორგი გახარიას განცხადებას, რომ არჩევნების მეორე ტურზე მხარს არც „ქართულ ოცნებას“ და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუჭერენ.

როგორც ბაქრაძე განმარტავს, გიორგი გახარია ოპოზიციაში ვერ იქნება, სანამ არ ჩამოყალიბდება მყარად, რომ მონაწილეობს ხელისუფლების შეცვლის პროცესში.

– მეორე ტურში ნეიტრალიტეტი არ არსებობს. შენ მხარს უჭერ ოპოზიციას და ამით შენი წვლილი შეგაქვს ხელისუფლების დამარცხებაში, ან არ უჭერ მხარს ოპოზიციას და ამით ეხმარები ხელისუფლებას, რომ დარჩეს. მეორე ტურში ნეიტრალიტეტი არ არსებობს. ვფიქრობ, ამას ძალიან სწორად აფასებენ ამომრჩევლებიც. ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გადაწყვეტილება დიდი ზიანის მომტანი იქნება ბატონი გახარიას გუნდისთვის, მისი ამომრჩევლის და ნიშის გამყარების თვალსაზრისით. ბატონი გახარია დღეს ხელისუფლებაში აღარ არის, მაგრამ ის ვერ იქნება ვერც



ოპოზიციაში მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება მყარად, რომ მონაწილეობს ხელისუფლების შეცვლის პროცესში.

ამის ერთ-ერთი მთავარი ტესტი გახლავთ სწორედ ის, მზად არის თუ არა, მეორე ტურში მხარი დაუჭიროს ოპოზიციას დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ნიკა მელია და სხვა კანდიდატები. მეორე ტურის გადაწყვეტილება არ არის ოპოზიციის მოწონების გადაწყვეტილება. მეორე ტურის გადაწყვეტილება არის ხელისუფლების შეცვლა-არშეცვლის საკითხი. ამიტომ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის, ვინ რა პოზიციას დაიკავებს, – აღნიშნავს ბაქრაძე.

# მამა იოანე ცუხიშვილს ფეისბუქი გაუტეხეს და მისი სახელით 65.000 მიითვისეს

თაღლითობა მღვდლის სახელით – მამა იოანე ცუხიშვილს ფეისბუქი გაუტეხეს და მრევლს ფული გამოსძალეს.

თაბორის მამათა მონასტრის სასულიერო პირის სულიერ შვილებს თაღლითებმა მისწერეს, რომ ფული სჭირდებოდათ და მოქალაქეებს თანხა ყალბ ანგარიშზე გადაარიცხინეს.

ჯამში მღვდლის სახელით თაღლითებმა 65 ათას ლარზე მეტი მიითვისეს.

მამა იოანეს ფეისბუქიდან შეტყობინება ერთდროულად რამდენიმე მოქალაქემ მიიღო. მღვდელი სულიერ შვილებს საბანკო ბარათის მონაცემებს სთხოვდა. მოქალაქეებმა პირადი საბანკო მონაცემები სოციალურ ქსელში გააგზავნეს, რის შემდეგაც მრევლის ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო.

ჯამში 65 ათასი ლარი მღვდლის სულიერი შვილების ანგარიშებიდან ონლაინკაზინოს ანგარიშზე გადაიტანეს. არიან ასევე, დაზარებულები, რომელთა პირადი მონაცემებით ჰაკერმა ბანკში სოლიდური თანხა ისესხა.

– ადვილად გატეხეს, მაგრამ დღემდე არ არის დაბლოკილი ჩემი გვერდი. არ არსებობს მექანიზმი ქვეყანაში, რომ დაცული იქნეს ჩემი, ან ჩვენი საზოგადოების უფლებები ამ კონტექსტში. ისევე, როგორც ბანკის კონტექსტში არ არის დაცული, – ამბობს სასულიერო პირი.

ის, რომ მისი სახელით თაღლითებმა ისარგებლეს და მრევლს თანხები გამოსძალეს, მამა იოანემ გვიან აღმოაჩინა. გომელაურის უწყებამ დამნაშავის კვალზე გასვლა და სასულიერო პირის პირადი მონაცემების დაცვა ჯერჯერობით ვერ შეძლო. აღნიშნულ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე მესამე დღეა იძიებს, თუმცა უშედეგოდ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შემდეგი ხელისუფლება თუ იქნება კოალიციური, „ქართულ ოცნებასაც“ ექნება თავისი ადგილი“

ნათია ხურცილავა

## მურმან დუმბაძე: „30 წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ხმების აფეთქება არ ხდება. დღეს დააფუძნო პარტია და ხვალ ხელისუფლება დაამარცხო, შეუძლებელია“

**„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, გიორგი გახარიას პოზიცია მეორე ტურთან დაკავშირებით ცნობილია ის არც ერთ კანდიდატს მხარს არ დაუჭერს. თქვენ თქვით, რომ გახარიასთვის ტესტი იქნებოდა მისი პოზიცია. დღეს როგორია თქვენი პოზიცია?***

– 30 ოქტომბრამდე გახარიას აქვს დრო, რომ იფიქროს. ის ალბათ ვარაუდობდა, ერთსაც და მეორესაც მოუგებდა, მაგრამ ასე არ არის. 30 წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ხმების აფეთქება არ ხდება. დღეს დააფუძნო პარტია და ხვალ ხელისუფლება დაამარცხო, შეუძლებელია. ერთადერთი გამონაკლისი იყო 2012 წელს, მაგრამ მაშინ კოალიციამ დაამარცხა ხელისუფლება და არა ერთმა პარტიამ. კოალიცია ამარცხებს ხელისუფლებას. გიორგი გახარია მარტო ვერაფერს შეძლებს.

***– შეიძლება პოზიცია შეცვალოს?***

– არ გამოვრიცხავ. გახარიას უკან ამომრჩეველი დგას, ადამიანებმა უნდა იფიქრონ, ქვეყანაში უნდათ თუ არა ცვლილება.

***– თუ პოზიციას არ შეცვლის?***

– გახარია, როგორც პოლიტიკური ფიგურა, უბრალოდ, დასრულდება. ეს იქნება მისი პოლიტიკური შეცდომა. არც ერთი ოპოზიციური პარტია არ ცნობს „ქართული ოცნების“ სატელიტ პარტიას. თუ გახარია ოპოზიციას არ დაეხმარება, მაშინ ის ავტომატურად არ უჭერს მხარს მთავრობის შეცვლას. ეს ძალიან საწყენი იქნება. თუმცა, მისი გადასაწყვეტია და არავისი სხვისი. კოალიციური მმართველობა, რაზეც გახარია საუბრობს, ოპოზიციის გარეშე არ არსებობს.

***– მთელ ამ პროცესზე რა გავლენას იქონიებს სააკაშვილი უკვე ციხეში? ჩვენ ვნახეთ თუ რა გავლენა იქონია მისმა ჩამოსვლამ არჩევნებზე.***

– მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკოსი. ის პოლიტიკურად მოქმედებს. შარშან დედაქალაქში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 22% მიიღო, 2 ოქტომბერს – 30%. ერთმა ვიდეოს გამოჩენამ რვაპროცენტიანი ზრდა გამოიწვია. წარმოიდგინეთ, თავისუფალი სააკაშვილი რას მოიტანს. საქართველოს გადარჩენის გზა კონკურენციაზე გადის. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურად გადარჩენის გზაც კონკურენციაზე გადის. მან უნდა მოუხმოს კეთილგონიერებას და სააკაშვილი გამოუშვას, საქართველოს მოქალაქეობა აღუდგეს და შევიდეს კონკურენციაში. მე არ ვეუბნები საქართველოს მოქალაქეებს, რომ სააკაშვილი აუცილებლად რაღაც თანამდებობაზე უნდა დავსვათ, არა, ეს თავად მათი გადასაწყვეტია. თუ ხელისუფლებასა და მოქალაქეს შორის ჰარმონია არ არის, სახელმწიფო ვერ ვითარდება, წინ ვერ მიდის. ასე ვიქნებით იმ ჭაობში, რაშიც დღეს ვართ. მე ვთვლი, რომ სააკაშვილის როლი და წვლილი გამოსაყენებელია, რათა ამ ჭაობიდან გამოვიდეთ. ვინც ამბობს, კოალიცია მინდა, მაგრამ არა მიხეილ სააკაშვილი ამ კოალიციაში, ეს ნიშნავს, ის ავტორიტარია, მასში საბჭოთა კავშირია ჩაბუდებული. მე კი, საბჭოთა კავშირი დიდი ხანია დავასრულე.



***– ია მეტრეველი ძალიან მწვავე ტექსტით გამოვიდა, მას არ სურს სააკაშვილის გამოსვლა.***

– მე მესმის შვილმკვდარი დედის. ძნელია რამე თქვა. თუმცა, მაშინ ბიძინა ივანიშვილიც უნდა იჯდეს ციხეში, ბევრი მკვლელობა მოხდა.

***– სხვა თემაზე რომ გადავიდეთ. მეორე ტურებთან დაკავშირებით როგორია თქვენი პროგნოზი? საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური რამდენად გამოდგება მაგალითად ამ შემთხვევაში?***

– სრულიად განსხვავებული შემთხვევაა. ქვეყნის ყველა რეგიონულ ცენტრში „ქართულმა ოცნებამ“ არათუ 43%, 40% კი ვერ აიღო. ვერ გაიმარჯვა ვერც დედაქალაქში. რა გამოდის, „ოცნება“ ხელისუფლებაში უნდა დარჩეს ნინოწმინდის შედეგებით. ჩემი დიდი პატივისცემა ნინოწმინდელებს, მაგრამ სტატისტიკას ხომ არ გადავხედო, ერთი აქსიომური ჭეშმარიტება რომ დავადასტურო?! მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაც ნინოწმინდაში ზუსტად 99% იღებდა, როგორც ახლა აიღო „ქართულმა ოცნებამ“. ნინოწმინდელებს კი არ ვემდური, ვემდური საქართველოს ყველა ხელისუფლებას, რომელთაგან არც ერთმა არ დაასრულა ნინოწმინდაში საბჭოთა კავშირი.

***– მეორე ტურს რომ დავუბრუნდეთ. ბათუმში მართლა გახდება ოპოზიციიდან მერი?***

– ნამდვილად გახდება. ბათუმი იტყვის თავის სიტყვას ისევ. ბათუმის საკრებულო უკვე არის ოპოზიციური. ბათუმში ოპოზიციას ბევრად უფრო შეჯერებული კანდიდატი ჰყავდა, ვიდრე სხვაგან. ამიტომაც შედეგიც უფრო შთამბეჭდავია.

***– თბილისში რა მოხდება, როგორია თქვენი მოლოდინი?***

– გამარჯვებისთვის ბრძოლა ბოლომდეა მისაყვანი. მაგალითად, ანა დოლიძე, რომელსაც კარგი შედეგი ჰქონდა, დარწმუნებული ვარ, არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს ისეთ განცხადებას, როგორიც გახარიამ გააკეთა. თუმცა, გახარიაც შეცვლის პოზიციას. მილიონ რვაასი ათასი ადამიანი მოვიდა არჩევნებზე. უმეტესობამ ცვლილებებს მისცა ხმა. ეს ადამიანები კოალიციას ითხოვენ თუ გამოვა ბიძინა ივანიშვილი და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს, შემდეგი ხელისუფლება იქნება კოალიციური, სადაც თავისი ადგილი ექნება „ქართულ ოცნებასაც“.

***– ეს მხოლოდ თქვენი სურვილია თუ რაიმე შესაძლებლობას ხედავთ, რომ ივანიშვილმა ასეთი პრაგმატული გათვლა გააკეთოს?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილმა ასეთი პრაგმატული ნაბიჯი გადადგას.

# „სააკაშვილს გაათავისუფლებენ, ოღონდ ახლა სპექტაკლია მოსაფიქრებელი“

ნონა ცაბაძე

## კახა კუკავა: „გახარიამ პრაქტიკულად „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი“

**„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს“.**

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ჩატარებულ არჩევნებს? „ქართული ოცნებისთვის“ და განსაკუთრებით კი კალაძისთვის მოულოდნელი იყო მეორე ტურიო. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– მეორე ტურები საკმაოდ ნორმალური პროცესია და ეს ბევრ ქვეყანაში ტარდება ხოლმე. რა თქმა უნდა, პირველ ტურში არავინ არ ამბობს, რომ პირველ ტურში ვერ მოვიგებ და მეორე ტური გახდება საჭიროო. ეს ნორმალურია, როცა კანდიდატები ამბობენ, რომ პირველ ტურში მოვიგებო. არანორმალურია ის, როდესაც ეგზიტპოლებს აყალბებენ და ზეიმობენ. სამარცხვინო იყო, როდესაც ეგზიტპოლმა გამოაცხადა 51% და საკმაოდ არასერიოზული იყო ეს ყველაფერი. კალაძე აცხადებდა პირველივე ტურში მოვიგებო, ამას სხვებიც აცხადებდნენ, იგივე ნიკა მელია, ამაში არაფერია გასაკვირი. მე პირადად არც იმას ვთვლი, რომ კალაძემ ცოტა პროცენტი აიღო. აქ მთავარი მოულოდნელობა, მე რასაც არ ველოდი, იყო ის, რომ კალაძემ მაინცდამაინც ვერ გაუსწრო საკუთარ პარტიას. ვფიქრობდი, რომ მათ შორის სხვაობა მეტი იქნებოდა. ასევე, მოულოდნელი იყო ნაციონალების მაღალი პროცენტი. მე ვფიქრობდი, რომ ნაციონალების და კალაძის სხვაობაც მეტი იქნებოდა.

***– ნაციონალების მაღალი პროცენტი რამ განაპირობა?***

– ნაციონალების მაღალი პროცენტი განაპირობა იმან, რომ სინამდვილეში რაც მოხდა, ეს ძალიან საინტერესო პროცესია, თუმცა ეს ძალიან ტრაგიკული გამოდგა როგორც ჩვენი პარტიისთვის, ისე სხვა პარტიებისთვისაც. ის, რომ მესამე ძალა არ თუ ვერ დაიბადა, ამან სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია ის, რომ ე.წ. შუაშისტური ელექტორატი დაიძრა ნაცებისკენ. ეს არის საშუალო ფენა როგორც ასაკობრივად, ისე მატერიალურად, მეტ-ნაკლებად ინტელექტუალური საზოგადოება, რომელიც არც ფულზე იყიდება, არც მთავრობის დაშინებას არ ექვემდებარება. ეს ნაწილი ელოდა მესამე ძალას, თანაც საკმაოდ დიდხანს.

მესამე ძალა რომ არ გამოჩნდა, ამაში ირაკლი კობახიძის ღვაწლიც დიდია. „ქართულმა ოცნებამ“ გადაასწრო მიუღებლობის ხარისხით უკვე ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო მესამე მხრივ იმის გამო, რომ ნაციონალური მოძრაობაც აღარ არის ისეთი ტოქსიკური, როგორც ადრე, ამ ადამიანებმა, რომლებსაც



შინაგანად უნდოდათ ცვლილება, ცვლილება ვერ დაინახეს, ვერც კახა კუკავაში, ვერც ანა დოლიძეში, ვერც გიორგი ვაშაძეში...

***– და ვერც გიორგი გახარიაში?***

– გიორგი გახარიაში შეიძლება ყველაზე მეტად, მაგრამ მას გაურკვეველი მესიჯები ჰქონდა და ხალხი, ვისაც სჭირდება კონკრეტული მესიჯები და კონკრეტული ცვლილებები, ამ ხალხმა მხარი დაუჭირა ნაციონალურ მოძრაობას. არა მიშას ნაციონალურ მოძრაობას, არამედ, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალას. ეს მნიშვნელოვანია, ნაციონალური მოძრაობა, ამ არჩევნებზე უკვე ჩამოყალიბდა, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა და არა მიშა სააკაშვილის ფანკლუბი. რა თქმა უნდა, მიშა სააკაშვილის მომხრეები ამ პარტიაში დიდ რაოდენობას წარმოადგენენ, თუმცა ეს აღარ არის მიშა სააკაშვილის პარტია.

***– იყო თუ არა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ ინტერესში, რომ ნაცმოძრაობა დარჩენილიყო მთავარ ოპოზიციურ ძალად?***

– ეს გარკვეულწილად იყო მათი ტაქტიკის ნაწილი, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ამ არჩევნებმა დაასრულა ეგ პერიოდი, როდესაც ნაციონალური მოძრაობა იყო „ქართული ოცნების“ სპარინგპარტნიორი, იმიტომ, რომ სპარინგპარტნიორად „ოცნებას“ სჭირდებოდა მანამდე, ვიდრე მათ შორის იყო ისეთი სხვაობა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ საფრთხეს არ უქმნიდა. დღეს სულ სხვა სიტუაციაა.

***– რამდენიმე დიდ ქალაქში ნაციონალებმა მოუგეს „ოცნებას“.***

– თბილისის გარდა, ყველა დიდი ქალაქი მოიგო ნაციონალურმა მოძრაობამ პირველივე ტურში. მეორე ტური იქნება, მაგრამ პირველ ტურში ისინი უსწრებენ „ქართულ ოცნებას“. თბილისშიც, უნდა ითქვას პირდაპირ, რომ ალბათ კალაძის ფაქტორია ის, რომ შედეგი არის „ოცნების“ სასარგებლოდ და მიუხედავად ამისა, თბილისშიც სხვაობა აღარ არის უიმედო. მეორე ტურები 2016-დან მოყოლებული ინიშნებოდა, მაგრამ მაშინ სხვაობა იყო უიმედო. ახლა 49-ით 19-ს რომ მოიგებდა პირველ ტურს „ქართული ოცნება“, უკვე გასაგები იყო, რომ მეორე ტურს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დღეს უკვე ასეთი სხვაობა აღარ არის. აქედან გამომდინარე, მე არ ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილს დღეს ნაცმოძრაობა სპარინგპარტნიორად სჭირდებოდეს.



***– დღეს ბევრი ექსპერტი საუბრობს იმის შესახებ, რომ შესაძლოა კოალიციური მთავრობა მივიღოთო, ამაზე რას ფიქრობთ?***

– მე კარგად არ მესმის კოალიციურ მთავრობაში რას გულისხმობენ. საკრებულოს უმრავლესობას თუ გულისხმობენ, ეს კოალიციური მთავრობა რამდენად არის, ვერ გეტყვით. უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპისთვის თბილისში მეტი შანსები აქვს „ქართულ ოცნებას“, ხოლო რეგიონებში ნაციონალურ მოძრაობას, თუმცა დღეს არც ერთი არ არის გარკვეული. ეს არის პირველი არჩევნები 2012 წლის შემდეგ, რომელიც არ არის ადვილად პროგნოზირებადი. ვერავინ ვერ იტყვის 100%-ით თუ როგორ დამთავრდება შედეგები. გახარიამ პრაქტიკულად „ოცნებას“ დაუჭირა მხარი და ეს, რა თქმა უნდა, აძლიერებს ხელისუფლებას.

***– მან განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს არავის და თქვენ რატომ ჩათვალეთ, რომ „ოცნებას“ დაუჭირა?***

– მაინც ასე გამოდის. გამომდინარე იქიდან, რომ ყველამ კარგად იცის, რომ მისი ელექტორატი არის ყოფილი ქოცები, თუნდაც არავის დაუჭირონ მხარი, დღეს კალაძეს აქვს 43%, მელიას 30%, თუ გახარიას 9% არავის მხარეს არ წავა, ეს ისედაც კალაძის მხარდაჭერაა. მან კალაძეს კი არ დაუჭირა მხარი, მაგრამ კალაძისთვის საფრთხე იქნებოდა თუ გახარიას ელექტორატი დაემატებოდა მელიას. გახარიას ელექტორატი სახლშიც რომ დარჩეს, დარწმუნებული ვარ, ბევრი ქოცებს მიცემს ხმას, რა თქმა უნდა, ეს მაინც კალაძის მხარდაჭერაა.

***– სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლაზე, მის დაკავებაზე რას ფიქრობთ. ბევრმა თქვა, რომ საკუთარმა გუნდმა ჩამოიყვანა საქართველოშიო. თქვენ რას ფიქრობთ, მისი პირადი გადაწყვეტილება იყო თუ რა თამაშია ეს?***

– არა მგონია, რომ მისმა გუნდმა გააბრიყვა. სრულიად აშკარაა, რომ სააკაშვილს გარკვეული გარანტიები აქვს მიღებული, ეს ჩანს როგორც ამერიკის, ისე უკრაინის სხვადასხვა განცხადებებიდან. ზოგადად დასავლეთის განცხადებები მოწმობს იმას, რომ გარანტიები არა მარტო სააკაშვილის პირად უსაფრთხოებაზე აქვთ მათ აღებული, არამედ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება გადაწყვეტილი ამბავია. მეორე მხრივ, სააკაშვილის აქ ჩამოსვლა მისი პირადი გადაწყვეტილებაც იყო, ვინაიდან ის რომ არ ჩამოსულიყო და ეს შედეგი მის გარეშე დამდგარიყო, მაშინ მისი წვლილი ამ საკითხში იქნებოდა შემცირებული. რადგანაც მელიამ ციხე მოიხადა და სააკაშვილს ციხე მოხდილი არ ჰქონდა, მელიამ გარკვეული უპირატესობა მის წინაშე მოიპოვა, სააკაშვილს კი უნდა, რომ იყოს აქტიურ პოლიტიკურ თამაშში.

***– ადასტურებთ იმას, რომ სააკაშვილი და მელია დაპირისპირებულები არიან?***

– არა, მე ამას არ ვადასტურებ. უბრალოდ, მელიას რეიტინგი იზრდება, ხოლო სააკაშვილის რეიტინგი თუ არ იკლებდა, არც იმატებდა. მიშას კი უნდა, რომ იყოს აქტიური ქართულ პოლიტიკაში და საქართველოში ჩამოსვლის გარეშე ეს ვერანაირად ვერ მოხერხდებოდა.

***– რით დასრულდება მეორე ტური?***

– მეორე ტური რით დასრულდება, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით. ეს დამოკიდებულია ორივე მხარის გონივრულობაზე. ჯერჯერობით „ქართული ოცნება“ ისევ უშვებს შეცდომებს, როდესაც აგრძელებს კობახიძის რიტორიკას. ხოლო როგორ იმოქმედებს ნაცმოძრაობა, ეს ჯერ არ ვიცით. ნაცმოძრაობის მთავარი ამოცანაა, ახლა ამ შუაშისტი ელექტორატის მიმხრობა. თბილისში მართლაც კალაძის ფაქტორმა იმუშავა, რომ არ იყოს პერსონალურად კალაძე, სავარაუდოდ, იგივე შედეგი იქნებოდა, რაც ქუთაისსა და ბათუმში.

***– რა ბედი ელის მიხეილ სააკაშვილს?***

– როგორც ჩანს, მას გაათავისუფლებენ, ოღონდ მოსაფიქრებელია ახლა სპექტაკლი ქართველი ხალხისათვის თუ როგორ გაათავისუფლოს „ოცნებამ“ მიშა ისე, რომ ქოცების მხარდამჭერებს ეს, როგორც გამარჯვება, ისე შეასაღოს.

# „არჩევნების ასეთი მკაცრი შეფასება არ მახსოვს“

## თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილის ჩამოსვლამ მდორე პროცესი გამოაცოცხლა“

მარიამ მჭედლიშვილი

**რა დასკვნამდე მივყავართ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის შედეგს? რა იყო ახალი დასავლელი პარტნიორების შეფასებებში? რას ნიშნავს მესამე პრეზიდენტის ჩამოსვლა? რა ზომები უნდა მიღებულიყო? რა უნდა იყოს საქართველოს საზოგადოების ამოცანა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.**



***— რა შეგიძლიათ დაასკვნათ ადგილობრივი არჩევნების შედეგის გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების საფუძველზე?***

— შედეგი გაკვირვებას არ იწვევს. იმისთვის, რომ შეეწინააღმდეგო გაყალბების, დაშინებისა და მოსყიდვის დამკვიდრებულ სისტემას, აუცილებელია უზარმაზარი ძალისხმევა და ხალხის ვეებერთელა რაოდენობა. იმ მონაცემებით, რაც გამოქვეყნდა, ჩანს, რომ მიღწევა მაინც არსებობს. ოპოზიციამ ზოგან გაიმარჯვა, ზოგან კარგი შედეგი აჩვენა. ამიტომ, აქტიურობა საჭიროა მეორე ტურის დროსაც – 30 ოქტომბერს.

***— საქართველოს დასავლელი პარტნიორები ამ არჩევნების შეფასებისას სხვა შენიშვნებთან ერთად ხაზს უსვამენ დიდ უთანაბრობას საარჩევნო სუბიექტებს შორის. თქვენ ამაზე ბევრჯერ გისაუბრიათ.***

– წინასაარჩევნოდ და არჩევნების დროს უთანასწორობა დიდია. თანასწორობა კანონშიც რომ ჩაიწეროს, ეს გამოსავალი არ არის. თანაც, არ ვიცით, როგორ შესრულდება კანონმდებლობა. ძნელია ისაუბრო თანაბარ პირობებზე, როცა მმართველი პარტია ყველაფერზე მიდის და ყველა წითელ ხაზს ლახავს. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე აშშ-ის საელჩოს განცხადებას. მასში მთელი პირდაპირობით ნათქვამია, რომ არჩევნების პროცესში გამოიყენებოდა დაშინება, მოსყიდვა და სხვა. არჩევნების ასეთი მკაცრი შეფასება არ მახსოვს. ფაქტობრივად, აღიარებულია, რომ ასეთ პირობებში გამართული არჩევნები ვერ იქნება სამართლიანი.

***— არჩევნების პირველ ტურს გამოეხმაურა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელიც. მან იმედი გამოთქვა, რომ მეორე ტურის გამართვის შემდეგ ხელისუფლება მიუბრუნდება 19 აპრილის შეთანხმებაში გაწერილი პირობების შესრულებას. 43%-იანი ბარიერის გარდა, ამ დოკუმენტში სხვა საკითხებიცაა ჩადებული.***

— ამ დოკუმენტის ზოგიერთი პუნქტი დამსახურებულ კრიტიკას იწვევდა და იწვევს. არა მგონია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ამ შეთანხმების შესრულება დაიწყოს. სანამ ის იგრძნობს ძალას, მას არ შეასრულებს.

***— სააკაშვილის ფაქტორზეც გკითხავთ აზრს.***

– მისი საქართველოში ჩამოსვლა ძალიან პოზიტიური ნაბიჯია. სააკაშვილის ჩამოსვლამ მდორე პროცესი გამოაცოცხლა. ამან დაამთავრა მისი მოწინააღმდეგეების ქილიკი თემაზე, რომ ის ხალხს ჩამოსვლას ჰპირდება და არ ჩამოდის.

***— ის მართლაც ვერ ახერხებდა ჩამოსვლას.***

— პირობები არ იყო და ამიტომ ვერ ახერხებდა. ეს ვინმეს საქილიკო და სასაცილო სულაც არ არის. კიდევ იყო ასეთი ბრალდებები – რატომ არ ჩამოდის და რატომ არ ბარდება საქართველოს მართლმსაჯულებასო?! რატომ უნდა ჩაბარებოდა რუსეთის რეჟიმს? ეს უცნაური ბრალდებები მოქმედებდა ამომრჩევლის ნაწილზე. ახლა საკითხი მოხსნილია. არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, თითქოს სააკაშვილის გამოჩენამ აამაღლა „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის მოტივაცია.

***— ითვლება, რომ სააკაშვილის ფაქტორი ხელს უწყობს მმართველი პარტიის ამომრჩევლის მობილიზაციასაც.***

— ამას არ ვიზიარებ. „ოცნებას“ იმდენი ხერხი და მაქინაცია აქვს ხალხის მობილიზაციისთვის აპრობირებული, რომ ამას ისედაც ახერხებს. სააკაშვილი აქ არაფერ შუაშია. მესამე პრეზიდენტმა ხელი შეუწყო ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის მობილიზაციას. კარგი იქნებოდა, მიშას გარეთ შენარჩუნება ხმების პირველადი შედეგის გამოცხადებამდე.

***— ეს შესაძლებელი იყო?***

— რასაკვირველია, შესაძლებელი იყო სიფრთხილის შემთხვევაში. ადამიანებს ეცოდინებოდათ, რომ ის საქართველოშია და მას ვერ აკავებენ. ეს ძალიან ქმედითი იქნებოდა. საბჭოთა კავშირის დროსაც კი შესაძლებელი იყო ადამიანის დამალვა. ამ შემთხვევაში საუბარია დაახლოებით დღენახევარზე – ორ დღეზე. ჩვენი ამომრჩევლის მენტალიტეტი ასეთია, ის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ძალას. სააკაშვილის დაკავებით, ამ მენტალიტეტის თანახმად, გამოჩნდა ხელისუფლების, მმართველი პარტიის ძალა. დაკავება ცოტა მოგვიანებით რომ მომხდარიყო, ეს გამოიწვევდა საარჩევნო პროცესში ჩართული ხალხის დემორალიზაციასაც. არ ვეთანხმები ასევე ბრალდებებს, რომ სააკაშვილმა ხმები წაართვა პატარა პარტიებს. ჯერ ერთი, ამ სიტუაციაში რომელიმე პატარა პარტიის პროცენტი არ არის მთავარი. ახლა მთავარია ოპოზიციის ერთიანობა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. თანაც, რეიტინგებით, არც ერთი პატარა პარტია არ იყო განსაკუთრებულად დაწინაურებული. მოსწონს ვინმეს თუ არა, ნაციონალური მოძრაობა მთავარი ოპოზიციაა. ის სხვებზე ბევრად ეფექტურად ეწინააღმდეგება ამ რეჟიმს. ყველა პატარა პარტიის, ასევე, საზოგადოების მოთხოვნა უნდა იყოს სააკაშვილის გათავისუფლება. საჭიროა აქტიურობა.



**„სააკაშვილის მიმართ კრიტიკულად განწყობილებიც უნდა აფასებდნენ იმას, რომ მან უკრაინაში დატოვა თანამდებობა, ცხოვრების კარგი პირობები და ჩამოვიდა საქართველოს გასათავისუფლებლად“**

***— რუსთავის ციხესთან ორშაბათს დიდი აქცია გაიმართა. გროვდება ხელმოწერებიც.***

– აქციაზე გახლდით და ადგილზე ვნახე, რა ხალხმრავალი აქცია იყო. ეს არ უნდა იყოს მარტო ნაცმოძრაობის საზრუნავი. სააკაშვილის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანებიც უნდა აფასებდნენ იმას, რომ მან უკრაინაში დატოვა თანამდებობა, ცხოვრების კარგი პირობები და ჩამოვიდა საქართველოს გასათავისუფლებლად. იგი დაკავებულია არასერიოზული, უსაფუძვლო ბრალდებებით. მან გასწია დიდი რისკი და წავიდა დიდ დისკომფორტზე. მესამე პრეზიდენტი შიმშილობს. პრემიერმა ღარიბაშვილმა საჯაროდ აღიარა, რომ სააკაშვილი დაკავებულია პოლიტიკური მოტივებით. მისი თქმით, ის ან უნდა ჩამოსცილებოდა პოლიტიკას, ან უნდა დაეკავებინათ. ღარიბაშვილმა აღიარა სააკაშვილის პოლიტპატიმრობა. ყველა ქართველის მოვალეობა უნდა იყოს სააკაშვილისთვის უსაფუძვლო ბრალდებების მოხსნისა და გათავისუფლების მოთხოვნების წამოყენება. ის ჩამოვიდა საქართველოს ამ რეჟიმისგან დასახსნელად.

# ანა ბუჩუკური: „რეალური ბერკეტი გვაქვს, ქვეყანაში ორპარტიული მმართველობა დავასრულოთ“

— დღეს ქვეყანაში სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობა გვაქვს. დღეს არ ხართ მხოლოდ „ნაცები“ და „ქოცები“. დღეს ჩვენ, გუნდი „საქართველოსთვის“ ყველა მუნიციპალიტეტში ვართ და გვაქვს რეალური ბერკეტი დავასრულოთ ქვეყანაში ორპარტიული მმართველობა.

ასე მიმართა პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტსაბჭოს წევრმა, დეპუტატმა ანა ბუჩუკურმა დეპუტატებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, პარტია „საქართველოსთვის“ წარმოდგენილია ყველა მუნიციპალიტეტში, საიდანაც დაიწყება ქვეყანაში ცვლილებები.

— მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობა“ და „ოცნება“ აკეთებდით და აკეთებთ ყველაფერს, რომ ეს ქვეყანა ჩაკეტილ წრეზე ატრიალოთ, დღეს გვაქვს სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობა. დღეს არ ხართ მხოლოდ „ნაცები“ და „ქოცები“, დღეს ყველა მუნიციპალიტეტში ვართ ჩვენ, გუნდი „საქართველოსთვის“. პირველად, ბოლო 18 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ძალა, რომელსაც აქვს რეალური ბერკეტი, რომ ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე და დაასრულოს ქვეყანაში ორპარტიული მმართველობა.



კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი გუნდი მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია ადგილობრივ ხელისუფლებაში, საიდანაც, რა თქმა უნდა, ვიწყებთ ცვლილებებს. ეს არჩევნები ნამდვილად იყო ცვლილებების არჩევნები, როგორც ამას ჩვენ პირველივე დღიდან ვამბობდით და ეს დადასტურდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვაგრძელებთ ყველა სამართლებრივი ბერკეტის გამოყენებას თითოეული ჩვენი მოქალაქის, ჩვენი ამომრჩევლის ხმების დასაცავად და ბრძოლა, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის მხოლოდ ახლა იწყება, – ამბობს ბუჩუკური.

მან მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა.

— მხოლოდ გახარიას და ჩვენს გუნდს ებრძოდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში და მიუხედავად სააკაშვილთან ერთად დამდგარი მასკარადისა, თითოეულ ადამიანს, ჩვენს მხარდამჭერს მინდა გულწრფელად დიდი მადლობა გადავუხადო პირადად მეც და მთელი ჩვენი გუნდის სახელით, რომ მოხვედით 2 ოქტომბერს და გააკეთეთ ღირსეული არჩევანი საქართველოსთვის. მადლობა ნდობისთვის და მადლობა, აი, ამ გამოჩენილი სიმტკიცისთვის, — განაცხადა ანა ბუჩუკურმა.

# ელენე ხოშტარია: „თბილისში ბიულეტენების 40%-ში არის დისბალანსი“



— თბილისის პროპორციულ ნაწილში, ბიულეტენების 40%-ში დისბალანსია – მეტობა არის 26 უბანზე, რაც ნიშნავს, რომ ბიულეტენები უტყუარად არის ჩაყრილი.

ამის შესახებ „დროას“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა.

ელენე ხოშტარიას თქმით, საკამათოც არ არის, რომ ეს უბნები უნდა გაუქმდეს.

— არჩევნების დასრულების დღიდან, ეს პერიოდი დეტალურად ვსწავლობდით არჩევნების გაყალბების მასშტაბს. ყველა ოპოზიციური პარტია ვართ სრულ კოორდინაციაში.

თბილისის საკრებულო, რომელშიც დღეს ტექნიკურად, „ოცნების“ გაფორმებით, ორი ხმით უპირატესობა აქვს „ქართულ ოცნებას,“ რეალურად ეკუთვნის ოპოზიციას. თბილისის საკრებულოში, თბილისის საზოგადოებამ აირჩია ოპოზიცია. სწორედ იმიტომ, რომ ეს რეალობა დაემახინჯებინათ და შეეცვალათ, „ქართულმა ოცნებამ“ მიიტაცა, როგორც მინიმუმ, ის ორი ადგილი და იმდენი პროცენტი, რომელიც აუცილებელი იყო ამ შედეგების შესაბრუნებლად.

თბილისის პროპორციულ ნაწილში, ბიულეტენების 40%-ში არის დისბალანსი, რაც ნიშნავს იმას, რომ იქ რაღაც გააყალბეს, რაღაც ფორმით და შემდეგ ქაღალდზე ვეღარ გააფორმეს, ვერ დააჯამეს მოსულთა და იმათი რაოდენობა, ვინც მისცა ხმა. მეტობა არის 26 უბანზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიულეტენები უტყუარად არის ჩაყრილი. საკამათოც არ არის, იმდენად სწრაფად უნდა გაუქმდეს ეს უბნები, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

# ასტრაზენეკას პირველ დოზებზე რეგისტრაცია შეჩერდა

„ასტრაზენეკას“ პირველ დოზებზე რეგისტრაცია შეჩერდა.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულებისას განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე მოსახლეობა „ასტრაზენეკას“ მეორე დოზით შეძლებს აცრას.

— სამწუხაროდ, ვაჩერებთ „ასტრაზენეკას“ პირველ დოზებზე რეგისტრაციას. მოთხოვნა ნაკლებია, ამიტომ მხოლოდ მეორე დოზებზე იქნება. შეფერხების მიზეზია ის, რომ დონაცია უნდა ყოფილიყო და ვერ შევთანხმდით ვადებზე. ახლა „ასტრაზენეკა“ მხოლოდ მეორე დოზებისთვის გვაქვს, ვნახოთ, „კოვაქსი“ თუ მოგვაწვდის „ასტრაზენეკას, – აღნიშნა გამყრელიძემ.



# „თუ ექიმი ან ექთანი პენსიონერს დაარწმუნებს, რომ აიცრას, დამატებით 8 ლარს მიიღებს“



ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნიას თქმით, კვირის ბოლომდე იგეგმება ოჯახის ექიმების და ექთნების წახალისების სქემის ამოქმედება.

ეს გულისხმობს იმას, რომ თუ ექიმი ან ექთანი 60 წელს ზემოთ ადამიანს დაარწმუნებს, რომ აიცრას და მოქალაქე აიცრება, ის დამატებით ანაზღაურებას – პირველ და მეორე აცრაზე 8-8 ლარს მიიღებს.

— ოჯახის ექიმების და ექთნების წახალისების სქემა, პირველ რიგში, ითვალისწინებს იმას, რომ ოჯახის ექიმმა და ექთანმა ჩაატაროს კონსულტაცია და 60 წელს ზემოთ მოქალაქეს დეტალურად აუხსნას ვაქცინაციის სიკეთეები, გვერდითი მოვლენები და ა.შ. ამისთვის განსაზღვრული თანხა არის 20 ლარის ოდენობით, საიდანაც 80% უნდა მოხმარდეს ექიმის და ექთნის ანაზღაურებას, 20% კი შეიძლება დაიხარჯოს ადმინისტრაციულ რესურსზე.

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე აიცრება, ექიმი და ექთანი მიიღებენ ასანაზღაურებელი თანხის 50%-ს პირველი აცრის შემდეგ, მეორე აცრის შემდეგ კი მეორე 50%-ს, – თქვა გაბუნიამ.

# „ისინი შეხვდნენ პრეზიდენტს და ჩაიხუტეს გულში“

## სააკაშვილის შემოყვანის საქმეზე დაკავებულ მამა-შვილ წოწორიებს პატიმრობა მიესაჯათ

საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შემოყვანის საქმეზე დაკავებულ მამა-შვილს ზურაბ და შალვა წოწორიებს, რომლებიც ფოთის ტერმინალის თანამშრომლები არიან, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი გელაშვილმა გუშინ, 5 ოქტომბერს, გამოაცხადა.

სხდომაზე დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელეს. პროკურატურა ბრალდებულების მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი დაკავებულების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა და სასამართლოს ალტერნატივის სახით გირაოს 5.000-5.000 ლარს სთავაზობდა.

ადვოკატის თქმით, თუკი სასამართლო გადაწყვეტდა, რომ აღნიშნული თანხა ვერ უზრუნველყოფდა საფრთხეებს, თავად ადვოკატი იყო მზად, საკუთარი ქონებით უზრუნველეყო გირაოს თანხა.

პროკურორ გიორგი ხაჩიძის განცხადებით, ბრალდებულებმა – შალვა და ზურაბ წოწორიებმა იცოდნენ, რომ მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებოდა, თუმცა, შალვა წოწორიას კუთვნილი ავტომანქანით მათ უზრუნველყვეს მსჯავრდებულ სააკაშვილის ტრანსპორტირება აბაშის მუნიციპალიტეტში.

პროკურორი დაკავებულების მხრიდან მიმალვის, მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეებზე საუბრობდა, რის გამოც, მათ მიმართ მკაცრი აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა უნდა გამოყენებულიყო.

დაკავებულების ადვოკატის გიორგი გოგინავას განცხადებით, წოწორიების მიმართ წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოა.

ადვოკატის თქმით, პროკურატურა ვერ ადასტურებს, დაკავებულების მხრიდან სამართლებრივი ორგანოების მიმართ ხელისშეშლა რაში გამოიხატა.

გოგინავას განმარტებით, საქმეში არ მოიპოვება მიხეილ სააკაშვილის მიმართ დევნის დაწყების დადგენილება და მისთვის გაუგებარია, თუ რის საფუძველზე ითხოვს პროკურატურა წიწორიების პატიმრობას. ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფები არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ განეკუთვნებიან, თუმცა, მათ მიმართ უკანონო დევნა ხდება პოლიტიკური მოტივით.

– ეს ადამიანები რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არ არიან, ისინი შეხვდნენ პრეზიდენტ სააკაშვილს, რასაც ჰქვია, ჩაიხუტეს გულში, ასეთი დამოკიდებულება აქვთ ყოფილი პრეზიდენტის მიმართ. იმის გამო, რომ ეს დამოკიდებულება აქვთ, დღეის მდგომარეობით ისინი დაკავებული არიან. მათ პრეზიდენტის ტრანსპორტირება უზრუნველყვეს. ის ბრალი, რაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს აქვთ წარდგენილი, აბსურდულია, არ ჯდება მოქმედ კანონმდებლობაში, რას ედავება ბრალდების მხარე, თავადაც არ იცის, მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ. დანაშაულის დაფარვა რაში გამოიხატება, ხელი შეუშალეს დანაშაულის გახსნას? კანონს უნდა სწორად წაკითხვა, მსჯავრდებული პირის მიერ სასამართლოსთვის ხელისშეშლა რაში გამოიხატება? – განაცხადა გოგინავამ.

ადვოკატი სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. თუმცა, გასაჩივრება ფორმალური იქნება, ვინაიდან გადაწყვეტილების შეცვლის მოლოდინი არ აქვს.

– მოსამართლე გიორგი გელაშვილი ჩვეულ ფორმაშია, პირნათლად ასრულებს პოლიტიკურ დავალებებს, ვულოცავ მას ამ გადაწყვეტილების მიღებას და ვულოცავ იმ ადამიანებსაც, ვინც ეს გადაწყვეტილება მიაღებინეს.

დღეს საქართველოს კიდევ ორი პოლიტიკური პატიმარი ჰყავს. რაც შეეხება პატიმრობის საკითხში გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მას ჩვენ მხოლოდ ფორმალურად გავასაჩივრებთ, ვინაიდან არც სააპელაციო სასამართლოს იმედი არ გვაქვს, რომ რაიმე ფორმით ამ გადაწყვეტილებას შეცვლის. საქმეში შემოსვლაში დახმარება კი არა, ზოგადად, მტკიცებულება არ მოიპოვება იმ ნაწილშიც, რაშიც დღეს ბრალდებულები არიან. შემდეგში რას გააკეთებს ბრალდების მხარე და



რა ახალ შოუებს დადგამს, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, – განაცხადა გოგინავამ.

სხდომას ესწრებოდნენ თავად ბრალდებულებიც, ისინი ამ დრომდე დუმილის უფლებას იყენებენ.

საქართველოს პროკურატურამ, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის საქმის გამოძიების ფარგლებში, დანაშაულის დაფარვის მუხლით ზურაბ და შალვა წოწორიებს ბრალდება 4 ოქტომბერს წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდებულებმა მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემდგომ, მისი ტრანსპორტირება და დანიშნულების ადგილას – სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში – მიყვანა საკუთარი ავტომანქანით უზრუნველყვეს.

# „პროკურატურამ ციხეს მოსთხოვა, რომ სააკაშვილს დარეკვის უფლება არ ჰქონდეს“

– ციხემ პროკურატურიდან მიიღო მოთხოვნა, რომ მიხეილ სააკაშვილს არ მიეცეს ზარის განხორციელების უფლება.



ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ გუშინ, 5 ოქტომბერს, რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესების გამართვაზე უარს ამბობს.

– შეშინებული, სამარცხვინო ხელისუფლება უარზეა, გამართოს მიხეილ სააკაშვილის პროცესები. ჩვენ გუშინვე ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს, პროცესის ჩანიშვნა მოვითხოვეთ, აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის მოთხოვნით და იქიდან მივიღეთ პასუხი, რომ – ჩვენ ვადები არ გვაქვს და 10 ნოემბერს ჩავატარებთ პროცესს. ასევე, „პიჯაკების საქმეზე“ მოვითხოვეთ პროცესის ჩანიშვნა და პასუხი არ მიგვიღია.

ციხემ პროკურატურიდან მიიღო მოთხოვნა, რომ მიხეილ სააკაშვილს არ მიეცეს ზარის განხორციელების უფლება. მსჯავრდებულ პირებს ზარის განხორციელების უფლება არ ეზღუდება. ასეთ მოცემულობაში გვიწევს ბრძოლის გაგრძელება, – განაცხადა ადვოკატმა ბასილაიამ.

# ლიზა იასკო: „ვამაყობ სააკაშვილით, რომელსაც თავისი ქვეყანა ასე უყვარს“

გუშინ, 5 ოქტომბერს, რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მესამე პრეზიდენტთან შესახვედრად რადას დეპუტატი ლიზა იასკო იმყოფებოდა. როგორც მან ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისაუბრა, მიხეილ სააკაშვი-




ლი დღეს პოლიტპატიმარია და მის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეებია აღძრული.

– ვფიქრობ, საქართველო ბედნიერი უნდა იყოს, რომ მიხეილ სააკაშვილი აქ არის. საკუთარი ხალხის სიყვარულისთვის ის ყველაფერზეა წამსვლელი. ვამაყობ ადამიანით, რომელსაც თავისი ქვეყანა ასე უყვარს. ეს დიდი ბრძოლაა, რომლის მოგებაც ასე გჭირდებათ.

ის პოლიტიკური პატიმარია და არ ეთანხმება ბრალდებებს. ქვეყნის მომავლისთვის იბრძვის, ქვეყნის მომავალი და მიშა უნდა დაიცვათ თქვენც. ამასთანავე, ის უკრაინელი პოლიტიკოსია და უკრაინისთვის ბევრი აქვს გაკეთებული. გვშურს, რომ საქართველოს მიხეილ სააკაშვილი ჰყავს, – განაცხადა ლიზა იასკომ.

# „ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებული აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე შეიძლება მოკლან“

თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე მოკლული ნიკო კვარაცხელიას ოჯახი მკვლელობაში ბრალდებულების ოჯახებს მათი შვილების სამართალდამცავებისთვის გადაცემას სთხოვს.



აღნიშნულთან დაკავშირებით ოჯახი განცხადებას ავრცელებს.

როგორც კვარაცხელიას ოჯახი განმარტავს, რეალური მოტივის დაფარვის მიზნით, შესაძლოა, დამკვეთმა ბრალდებულების ლიკვიდაცია მოახდინოს.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ნიკოლოზ კვარაცხელიას განზრახ მკვლელობის საქმეზე, გამოძიების მიერ დადგენილ იქნა ორი პიროვნების ვინაობა, მათ დაუსწრებლად წარედგინათ ბრალი და აღკვეთის ღონისძიების სახედ განესაზღვრათ პატიმრობა. შესაბამისად, მიმდინარეობს მიმალვაში მყოფ პირთა ძებნა.

ჩვენ კატეგორიულად გამოვრიცხავთ ნიკოსა და ამ საქმეზე ბრალდებულთა შორის რაიმე ბანალური მიზეზით კონფლიქტის არსებობასაც კი, რადგან ნიკო საერთოდ არ იცნობდა მათ. მოვუწოდებთ აკო ჭელიძისა და გიორგი კავილაძის ოჯახებს დაუყოვნებლივ გადასცენ მათი დამნაშავე შვილები სამართალდამცავ ორგანოებს, ვინაიდან არსებობს საფრთხე, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე ხელშეშლისა და მკვლელობის რეალური მოტივის დაფარვის მიზნით, დამკვეთმა მოახდინოს მათი ლიკვიდაცია“ – ნათქვამია განცხადებაში.

თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე, 22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრო აკო ჭელიძესა და გიორგი კავილაძეს ეძებს. მათ თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

შსს-ის ინფორმაციით, ნიკა კვარაცხელიას მიმართ 10-ზე მეტი გასროლა განხორციელდა, სავარაუდო დამნაშავემ კი ტერიტორია, თანამზრახველთან ერთად, ნაქირავები მანქანით დატოვა.

შეგახსენებთ, რომ ნიკო კვარაცხელია ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობდა, ის პლატფორმა ფიდსის დამფუძნებელია.

# შს მინისტრის ინიციატივით თადარიგის პოლიციელებზე სპეციალური მოწმობის გაცემა იწყება

შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, თადარიგის პოლიციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროში ნამსახურობის დამადასტურებელი სპეციალური მოწმობა გადაეცემათ. აღნიშნული ინიციატივის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება მიმდინარე წლის 2 ივლისს გამოიცა.

თადარიგის პოლიციელის მოწმობა სპეციალური დიზაინის პლასტიკური ბარათია, რომელიც სამინისტროს იმ ყოფილ 10 000-მდე თანამშრომელს გადაეცემა, რომელთაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნული აქვთ სახელმწიფო კომპენსაცია.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივის – თადარიგის პოლიციელებზე სპეციალური მოწმობის გაცემის მიზანია უწყების ყოფილი თანამშრომლების მიერ გაწეული საქმიანობის მნიშვნელობის ხაზგასმა.

თადარიგის პოლიციელის მოწმობის მისაღებად ყოფილ თანამშრომლებს უკვე შეუძლიათ განცხადებით მიმართონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ შს სამინისტროდან დათხოვნილ პირს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია.

# იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 2 პირი დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, იმერეთსა და ქვემო ქართლში, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულია 2 პირი: 1985 წელს დაბადებულ მ.ყ. და 1990 წელს დაბადებული ვ.გ.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მ.ყ.-ის ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება ვ.გ.-ს, იგი ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 6 ვაზნით.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# რუსთავში საშაურმეში შეჭრისთვის 4 მამაკაცი დააკავეს

რუსთავის პოლიციამ საშაურმეში შეჭრის ფაქტზე 4 მამაკაცი დააკავა.

საქმე ეხება მესხიშვილის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც ახალგაზრდებმა ჯგუფურად კომერციული ობიექტების თანამშრომლებს სცემეს. მომხდარზე დაკავებულია 4 ახალგაზრდა კაცი, რომელთაგან სამს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე (ძალადობა და მასში მონაწილეობა), ერთს კი 225-ე და 178-ე (ძარცვა) მუხლებით აქვთ წარდგენილი.

1 ოქტომბერს რამდენიმე პირმა მესხიშვილის ქუჩაზე მდებარე საშაურმეში შეჭრა და თანხის წაღება სცადა, რასაც ადგილზე ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

# აფეთქება რუსთავის მეტალურგიულში

## 60 წლის მამაკაცი დაიღუპა

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში აფეთქება მოხდა, რასაც 60 წლამდე კაცი ემსხვერპლა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, სავარაუდოდ, ჯართში გაურკვეველი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო, ჯართის გადამუშავების დროს კი აფეთქება მოხდა და მამაკაცი გარდაიცვალა.

აფეთქების შედეგად 1 ადამიანი დაშავდა, რომელიც კლინიკაშია გადაყვანილი.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

# შავ ზღვაში ნატო-საქართველოს ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩატარდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და ნატოს საზღვაო შენაერთის ხომალდებმა შავ ზღვაში ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩაატარეს.

სწავლება ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა.

ერთობლივ საზღვაო მანევრებში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადარაჯო ხომალდი „სოხუმი“ და ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის ხომალდები: ESPS RAYO (ესპანეთი), ROS LT LUPU DINESCU (რუმინეთი), BGS SHKVAL (ბულგარეთი),TCG EDINCIK (თურქეთი) და ITS VIAREGGIO (იტალია).

სწავლება მიზნად ისახავდა საქართველოს და ნატოს საზღვაო ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.



ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს და, შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია.

2021 წელს ნატოს ხომალდები საქართველოს უკვე მეორედ სტუმრობენ.

# ზელენსკის პარტიამ დმიტრო რაზუმკოვს უფლებამოსილება შეუჩერა





უკრაინის მმართველმა პარტიამ, „ხალხის მსახურმა“, პარლამენტის სპიკერ დმიტრო რაზუმკოვს უფლებამოსილება დროებით შეუჩერა.

უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის პარტიის წევრების გადაწყვეტილებით, რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენენ, დმიტრო რაზუმკოვს უფლებამოსილება ორი დღით შეუწყდება, ხუთშაბათს კი დეპუტატები მისი გადაყენების საკითხს უყრიან კენჭს.

დმიტრო რაზუმკოვი ვლადიმერ ზელენსკის მიერ ინიცირებული კანონმდებლობის სწრაფად მიღების წინააღმდეგი იყო, რომელიც პოლიტიკასა და ბიზნესზე ოლიგარქების გავლენის შემცირებას ისახავს მიზნად. მას სურდა კანონი, მიღებამდე, ვენეციის კომისიაში გადაეგზავნათ.

პარტია „ხალხის მსახურის“ ლიდერმა ალექსანდრ კორნიენკომ პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის დღის წესრიგის უკანონოდ დაბლოკვაში დაადანაშაულა.

უკრაინის პარლამენტმა ოლიგარქების შესახებ კანონი სექტემბერში მიიღო.

# რუმინეთის პარლამენტმა მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა



რუმინეთის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრ ფლორინ კიცუს მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა, რისი მიზეზიც კოვიდ-პანდემიის წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლა და დაშვებული შეცდომები გახდა.

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხარი 281-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ფლორინ კიცუმ რუმინეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 1 წლის წინ დაიკავა. პრემიერს ხშირად აკრიტიკებდნენ პანდემიის წინააღმდეგ არაეფექტური მმართველობისა და ვაქცინაციის დაბალი ტემპის გამო.

ამასთან, კიცუს პრემიერობის დროს ქვეყნის 3 საავადმყოფოში გაჩნდა ხანძარი, რაც მენეჯმენტის ხარვეზებთან იყო დაკავშირებული.

# მაკრონი: „დიდმა ოცეულმა“ თალიბანს აღიარებისთვის პირობების შესრულება უნდა მოსთხოვოს“



საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ „დიდი ოცეულის“ მოახლოებულმა სამიტმა თალიბანს საერთაშორისო აღიარების პირობების შესახებ მკაფიო შეტყობინება უნდა გაუგზავნოს.

— მჯერა, რომ საერთაშორისო აღიარებას ფასი უნდა ჰქონდეს და ავღანელი ქალების ღირსება, ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა უნდა იყოს ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ჩვენ დაჟინებით უნდა მოვითხოვოთ და რაც ჩვენთვის პირობა უნდა იყოს.

ვისაუბრებთ ავღანეთზე. ჩვენ, ევროპელებმა, ამერიკელებმა, ჩინეთმა, რუსეთმა, აფრიკის, აზიის, წყნარი ოკეანის და ლათინური ამერიკის დიდმა ძალებმა, ყველამ ერთად, ჩვენ უნდა გავაგზავნოთ მკაფიო მესიჯი, რომ ჩვენ თალიბანის აღიარებისთვის პირობებს ვაყენებთ, — აღნიშნა მაკრონმა.

„დიდი ოცეულის“ სამიტი მიმდინარე თვეში რომში გაიმართება.

# უზბეკეთში რუსული ენა არ უნდათ



უზბეკეთში რუსეთის გავლენა ძლიერია. მიუხედავად ამისა, ანტიიმპერიული განწყობები იქაც ძლიერდება.

უზბეკეთში დაიწყო მასობრივი აქცია რუსული ენის წინააღმდეგ. მის ორგანიზატორთა პოზიცია მარტივია: რაკი უზბეკეთში უზბეკური სახელმწიფო ენაა, რუსული სიტყვების ხმარება უნდა აიკრძალოს.

— ჩვენ ამას მივაღწევთ! უზბეკეთში ბარბარიზმები აღარ იქნება! — აცხადებენ ისინი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ქალმა ყოფილი შეყვარებული და მისი საცოლე ქორწილის წინ მოწამლა

ბრაზილიაში მიტოვებულმა ეჭვიანმა ქალმა ყოფილი შეყვარებული და მისი საცოლე მათ ქორწილამდე სამი დღით ადრე შოკოლადით მოწამლა.

35 წლის დიონ კვირინომ და მისმა 27 წლის საცოლე ამანდა კასია ლოპესმა ქორწილამდე სამი დღით ადრე ამანათი მიიღეს. მათ გადაწყვიტეს, რომ ეს ერთ-ერთი მეგობრის მიერ გამოგზავნილი საქორწინო საჩუქარი იყო, ვინაიდან მასში შოკოლადის გარდა რამდენიმე ბროლის ბოკალიც იდო. კვირინომ და ლოპესმა მაშინვე გახსნეს ტკბილეულის კოლოფი, თავადაც გასინჯეს და ახლობლებსაც გაუმასპინძლდნენ, მათ შორის, ორი წლის ბავშვს. ორი ცალი მათ ძაღლსაც კი შეხვდა.

გარკვეული დროის შემდეგ მთელმა ოჯახმა თავი ცუდად იგრძნო და ყველანი საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილები. ექიმებმა დაადგინეს, რომ კვირინო, ლოპესი და მათი ახლობლები მოწამლულები იყვნენ, თუმცა რომელი საწამლავით, ჯერჯერობით დაუდგენელია. მოწამვლას მათი ძაღლი ემსხვერპლა. ოთხი მოზრდილი და ერთი ბავშვი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.

მეორე დღეს პოლიციამ მოწამვლაში ეჭვმიტანილის დაკავება შეძლო, რომელიც კვირინოს ყოფილი შეყვარებული აღმოჩნდა.

# წყვილმა პარკში სეირნობის დროს ალმასი იპოვა

აშშ-ში, არკანზასში სახელმწიფო პარკში სეირნობის დროს წყვილმა ნამდვილი ალმასი იპოვა.

კალიფორნიელი ნორინ ვრედბერგი და მისი ქმარი შვებულების დროს არკანზასში ეროვნულ პარკს ეწვივნენ. ვრედბერგს გაახსენდა, რომ იქვე ახლოს სახელმწიფო პარკი „ალმასის კარიერი“ მდებარეობდა და იქ გასეირნება გადაწყვიტა.

სეირნობის დაწყებიდან დაახლოებით 40 წუთში ქალმა მიწაზე ბრჭყვიალა ძვირფასი ქვა შენიშნა, აიღო და მეუღლეს მიაწოდა. მალე მათ ის ნაპოვნი საგნების ცენტრში მიიტანეს. იქ დაწესებულების თანამშრომლებმა ქვის იდენტიფიცირება მოახდინეს, რომელიც 4,38 კარატიანი ყვითელი ალმასი აღმოჩნდა.



პარკის თანამშრომლის კალებ ჰაუელის თქმით, წყვილის მიერ ნაპოვნი ალმასი ყველაზე მსხვილია მიმდინარე წელს ნაპოვნ ალმასებს შორის.

ვრედბერგის თქმით, მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რას უპირებს ნაპოვნ ძვირფას ქვას, რომელსაც მეუღლის წითური კატის პატივსაცემად ლიუსი დაარქვა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## სპრეი მენტორი 7

გამოიყენება გაცივებისას, სურდოს, პლევრიტისა და ალერგიის დროს ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად. დამზადებულია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

**ჩვენება:** ნადგურდება მავნე ბაქტერიები ცხვირის არხებსა და პირის ღრუში, თხელდება ნახველი, ძლიერდება ორგანიზმის იმუნიტეტი, უმჯობესდება სუნთქვა.

**გამოყენების წესი:** კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, შევისხუროთ სპრეი ცხვირის არხებსა და პირის ღრუში (ყელში).

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

*სპორტი*

# ბარსელონამ მესი აგუეროსა და დეპაიში გაცვალა



ბარსელონა იანვარში გუნდის გაძლიერებას აპირებს. გავრცელებული ცნობებით, კატალონიელები აქცენტს შეტევის გაძლიერებისთვის აკეთებენ და მათი პრიორიტეტი დანი ოლმოსა და რაჰიმ სტერლინგის დამატებაა.

თუმცა, კატალონიურ კლუბს ამისთვის მცირე ბიუჯეტი აქვს. ესპანური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბარსას ფინანსური ფეარ ფლეის გამო იანვარში ფეხბურთელების შესაძენად დასაშვები თანხის ზღვარი მხოლოდ 16 მილიონი ევროთი განისაზღვრა.

ბარსელონამ სატრანსფერო დავალიანების 28%-ით შემცირება კი მოახერხა, მაგრამ ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ კატალონიურ კლუბს სხვადასხვა კლუბისთვის 115 მილიონი ევრო კიდევ გადასახდელი აქვს.

სანამ ბარსას აღმასრულებელი დირექტორი ფერან რევერტერი პრესკონფერენციაზე აუდიტის შედეგებს წარადგენს, მანამდე ცნობილი გახდა ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი.

გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლამდე კლუბს 115 მილიონი ევროს ოდენობის სატრანსფერო ვალი დასაფარი აქვს. ამ დავალიანებაში შედის იუვენტუსისთვის გადასახდელი 39 მილიონი მირალემ პიანიჩის ტრანსფერში, აიაქსისთვის გადასახდელი 32 მილიონი ფრენკი დე იონგის ტრანსფერში, ისევ აიაქსისთვის გადასახდელი 16 მილიონი სერჟინიო დესტის ტრანსფერში და ლივერპულისთვის გადასახდელი 13 მილიონი ფილიპე კოუტინიოს ტრანსფერში.

ამასობაში, ლა ლიგის პრეზიდენტმა, ხავიერ ტებასმა საინტერესო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ბარსელონას ლიონელ მესის შენარჩუნების შანსი ჰქონდა. საამისოდ საჭირო იყო, „ბლაუგრანას“ სერხიო აგუერო და მემფის დეპაი არ გადაებირებინა.

ხავიერ ტებასი:

— ლაპორტას სახლში ვისადილეთ და სივიესთან პარტნიორობის დოკუმენტზე ხელის მოწერაზე თანხმობა განაცხადა. იმ მომენტში არ ვიცოდი, ეს მესის კონტრაქტის გახანგრძლივების საშუალებას მისცემდა თუ არა. შემდეგ ლაპორტამ დამირეკა და მითხრა — შეგვიძლია, გარიგების გაფორმება დავაჩქაროთ? მესი უკვე ნერვიულობს. ლაპორტას ვუპასუხე, რომ, როგორც კი ამ გარიგების შესახებ ცნობილი გახდება, ფლორენტინო პერესი მის ჩაშლას შეეცდებოდა, რაზეც ლაპორტამ მითხრა, რომ მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო და მსგავსი არაფერი მოხდებოდა. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფრის უკან ფლორენტინო პერესი დგას. მას არ უნდა, რომ ლა ლიგა გაძლიერდეს, რადგან ეს სუპერ ლიგის პროექტის ჩაშლას გამოიწვევს.

ჩვენ შეთანხმება გვქონდა დადებული, რომ თუ ბარსა სივიესთან დადებულ გარიგებაზე უარს არ იტყოდა, შეეძლებოდა, მიღებული თანხის 15% ფეხბურთელების გასაფორმებლად დაეხარჯა. ჩემი აზრით, ისინი მესის შენარჩუნებას მოახერხებდნენ. ამის ნაცვლად, ლაპორტამ დეპაი და აგუერო მოიწვია. მას ეს 2 ფეხბურთელი რომ არ გაეფორმებინა, მესი შესაძლოა, ახლაც ბარსელონას ფეხბურთელი ყოფილიყო.

# კილიან მბაპე: „ნეიმარს მათხოვარი მართლა ვუწოდე“



პარი სენ-ჟერმენის სუპერვარსკვლავმა, კილიან მბაპემ ფრანგულ მედიასთან ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა.

**კილიან მბაპე:**

— პსჟ-ს ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ვუთხარი, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმება არ მსურდა. ჩემი მიზანი იყო, რომ ყველას ერთმანეთში ესაუბრა — კლუბს, რომელსაც უნდა გავეყიდე და კლუბს, რომელსაც ჩემი შეძენა სურდა. მადრიდის რეალს კონკრეტული შეთავაზება მომზადებული ჰქონდა. ვფიქრობდი, რომ პარი სენ-ჟერმენში ჩემი დრო გავიდა და კლუბის გამოცვლა ლოგიკურ ნაბიჯად მივიჩნიე. ეს ნაბიჯი გასულ ზაფხულში რომ გადამედგა, მხოლოდ რეალში წავიდოდი.

მბაპეს პსჟ-დან წასვლის სურვილი არც მას შემდეგ გაუქრა, რაც პარიზელებმა ლიონელ მესი გადაიბირეს.

— მესისთან ერთად თამაში ნამდვილად პრივილეგიაა. ის დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას არასდროს ვცვლი. მოკლედ, გადაწყვეტილება მიღებული მქონდა და ეს ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გავაკეთე.

მბაპე ამბობს, რომ პსჟ-ში ბედნიერია, მაგრამ გუნდთან კონტრაქტის გაგრძელებას მაინც არ აპირებს.

ამასობაში, რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ღიად განაცხადა, რომ მადრიდული გრანდი მბაპეს ყიდვას იანვარში ეცდება, როგორც კი ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა გაიღება.

მბაპემ ინტერვიუში ნეიმართან კონფლიქტზეც ისაუბრა, როდესაც კამერების წინ ნეიმარზე თქვა, ეს მათხოვარი პასს არ მაძლევსო.

— დიახ, ეს მართლა ვთქვი. ასეთი რაღაცები ფეხბურთში ხშირად ხდება. ამიტომაც, ამ შემთხვევის შემდეგ ნეიმარს მალევე ვესაუბრე. ასეთები ხდება, რადგან ჩვენ ყოველთვის მოგება გვინდა. უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ ყველაფერი დალაგდა. მას, როგორც ფეხბურთელს და ადამიანს, პატივს ვცემ.

მბაპემ საფრანგეთის ნაკრები და ევროპის ჩემპიონატი გაიხსენა, როდესაც კილიანს ბევრი აკრიტიკებდა:

— საფრანგეთის ნაკრებში თამაშისთვის ერთი ევროც არასდროს ამიღია. ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ყოველთვის უფასოდ ვითამაშებ, მაგრამ პირველ რიგში არ მინდა, რომ ვინმეს პრობლემებს ვუქმნიდე. ერთ მომენტში მართლაც ვიგრძენი, რომ ნაკრებისთვის პრობლემად ვიქეცი. ამბობდნენ, რომ საფრანგეთის ნაკრების მარცხის მიზეზი ჩემი ეგო იყო — თითქოს ზედმეტად ბევრს ვითხოვ და ჩემ გარეშე გუნდს მოგება შეეძლო. საფრანგეთის ნაკრები ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და, თუ გუნდი ჩემს გარეშე ბედნიერი იქნება, მზად ვარ, ნაკრებიდან წავიდე. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შევხვდი. ვუთხარი, რომ უკმაყოფილო ვარ, ვიღაცები „მაიმუნს“ რომ მიწოდებენ იმის გამო, რომ შვეიცარიასთან პენალტი ვერ გავიტანე. თუმცა, ცხადია, ვაღიარებ, რომ თერთმეტმეტრიანის გაფუჭება ჩემი ბრალია.

საფრანგეთის ნაკრები ხვალ, 7 ოქტომბერს ერთა ლიგის ნახევარფინალში ბელგიას დაუპირისპირდება, გამარჯვების შემთხვევაში კი, ფინალში იტალიისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს შორის მოგებულს შეხვდება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ლევანდოვსკი ბაიერნში დარჩება



რობერტ ლევანდოვსკის მიუნხენის ბაიერთან კონტრაქტი 2023 წელს ეწურება. თუმცა, პოლონელი ფეხბურთელი მზად არის ახალი კონტრაქტი გააფორმოს, რაც ცოტა ხნის წინ ეჭვქვეშ იდგა.

იწერებოდა, რომ 33 წლის პოლონელი ბომბარდირი „რეკორდმაისტერიდან" წასვლაზე ფიქრობდა. ფეხბურთელს მადრიდის რეალს უკავშირებდნენ, რომელსაც მისი შეძენა დიდი ხანია სურს.

საქმე ლევანდოვსკის ფასშიც არის. ბაიერნი პოლონელს 117 მილიონ ევროზე ნაკლებად, არ ყიდის, ასაკოვან ფეხბურთელში კი ამხელა თანხის გადახდაზე უმდიდრესი კლუბებიც არ წავლენ.

ირკვევა, რომ ლევანდოვსკიმ და ბაიერნმა ახალ კონტრაქტზე სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს, რაც მალე კონკრეტულ მოქმედებაშიც აისახება.

ამასობაში, ლევანდოვსკი კვლავ გვაოცებს შედეგიანობითა და რეკორდებით. გასულ სეზონში მან ყველა ტურნირში ჩატარებულ 40 მატჩში 48 გოლი შეაგდო. მიმდინარე ბუნდესლიგის 7 ტურში მას 7 გოლი აქვს გატანილი, ხოლო სხვა ტურნირების ჩათვლით – 13.

# ევროპაზე 19 წლამდე ნაკრები უპრაქტიკო ფეხბურთელებით ითამაშებს

19-წლამდე, 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის, მე-10 ჯგუფის მატჩებს, 6-დან 12 ოქტომბრამდე ნორვეგია უმასპინძლებს. საქართველოს ასაკობრივი ნაკრების მეტოქეები, ჯგუფურ ეტაპზე უელსი, კოსოვო და მასპინძელი ნორვეგია იქნებიან.

დღეს ჩვენები უელსს ხვდებიან, 9-ში კოსოვოს ეთამაშებიან, ხოლო 12-ში – ნორვეგიას.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები**: ლუკა ხარატიშვილი (დინამო ბთ), ლევან თანდილაშვილი (თელავი), მიხეილ მაქაცარია (დინამო თბ);

**მცველები**: დავით გოგოტიშვილი, მუხრან ბაგრატიონი, თორნიკე დუნდუა, ლუკა სალუქვაძე, ნიკოლოზ უგრეხელიძე (ყველა დინამო თბ), გიორგი ჩხეტიანი (ბრაგა, პორტუგალია), გიორგი პირტახია (ლოკომოტივი);

**ნახევარმცველები**: ლუკა კეკელიძე (ლოკომოტივი), ოთარ მამაგეიშვილი, გიზო მამაგეიშვილი, გეგი გეგუჩაძე (ყველა საბურთალო), ნიკოლოზ ცხოვრებაშვილი, ნიკა სიხარულაშვილი (ორივე დინამო თბ), ლუკა გაგნიძე (ურალი, რუსეთი);

**თავდამსხმელები**: გიორგი გვიშიანი (გაგრა), ჯადული იობაშვილი (დინამო თბ), გიორგი ხაბულიანი (ადანა, თურქეთი), გიორგი კვერნაძე (საბურთალო).

აღსანიშნავი ფაქტია, რომ საქართველოს 19 წლამდე ნაკრებში სათამაშო პრაქტიკა უმაღლეს დონეზე მხოლოდ 3 ფეხბურთელს აქვს: ლუკა გაგნიძეს 72 წუთი რუსეთის პრემიერ-ლიგაში, გიზო მამაგეიშვილს 1 არასრული მატჩი საქართველოს ეროვნულ ლიგაში და გიორგი გვიშიანს 8 მატჩი ეროვნულ ლიგა 2-ში.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი**: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია**: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა**: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# სამგლოვიარო განცხადებები

ვიზიარებთ ახლობლებისა და მეგობრების ოჯახის, ბეჟან კოდუასა და ირმა კილასონიას მწუხარებას დისა და მულის

**ნინელი კოდუას**

გარდაცვალების გამო.

გურამ კვიკვინია, ბადრი ლომაია,
უტა ზაქარაია და რევაზ გიორგაძე

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# საქართველო–საბერძნეთის მატჩს ბათუმში მაყურებლის მესამედი დაესწრება

## ნაკრებმა შეკრება დაიწყო



არის, ასრულდა ოცნება – საქართველოს ნაკრების საშინაო თამაშებს მაყურებლები დაესწრებიან.

როგორც იქნა საკოორდინაციო საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ გადაწყვეტილების მხოლოდ მესამედი. დიახ, მაშინ, როდესაც ყველგან ყველაფერი ღიაა, ქართველებისთვის სტადიონი მხოლოდ 33%-ისთვის გაიხსნება.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 9 ოქტომბერს ფიფას 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას გულშემატკივართა შეზღუდული რაოდენობა დაესწრება. საქართველო-საბერძნეთის მატჩზე სტადიონის ტევადობის 33%-ის შესაბამისი გულშემატკივართა რაოდენობა დაიშვება.

საქართველო-საბერძნეთის მატჩის ბილეთების გაყიდვა 6 ოქტომბერს, დღის 12:00 საათზე დაიწყება. ერთ მომხმარებელს შეუძლია მაქსიმუმ სამი ბილეთის შეძენა. სტადიონის შესასვლელები გაიღება 17:00 საათიდან. სტადიონის შიდა ტერიტორიაზე მოხვედრა მხოლოდ ბილეთზე მითითებული შესასვლელი კარით იქნება შესაძლებელი.

შესასვლელთან გულშემატკივარმა უნდა წარმოადგინოს: მატჩის ბილეთი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან 72-საათიანი ვალიდურობის პისიარ ტესტის უარყოფითი პასუხი, ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ ტესტის უარყოფითი პასუხი, ან ბოლო 6 თვის განმავლობაში კორონავირუსული ინფექციის გადატანის დამადასტურებელი ცნობა.

სტადიონის ტერიტორიაზე სავალდებულოა პირბადის ტარება. სოციალური დისტანციის დასაცავად, აუცილებელია, ყველა გულშემატკივარმა დაიკავოს ბილეთზე მითითებული ადგილი.

ამასობაში, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადება დაიწყო. 4 ოქტომბერს ვილი სანიოლის გუნდმა არასრული შემადგენლობით საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე ივარჯიშა. საწვრთნელ პროცესში 17 ფეხბურთელი იყო ჩართული.

ეროვნულ გუნდს ლეგიონერები – გიორგი ლორია, თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი ქვილითაია, გიორგი ჩაკვეტაძე, გიორგი მიქაუტაძე, ლაშა დვალი, დავით ხოჭოლავა და გიორგი აბურჯანია გუშინ შეუერთდნენ და გუნდმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა. ვილი სანიოლის კრებული ბათუმში 7 ოქტომბერს გაემგზავრება.

**საბა ლობჟანიძე:**

– ტრავმა აღარ მაწუხებს და 100%-ით მზად ვარ ეროვნულ გუნდს დავეხმარო. ვარჯიშები უკვე გავმართეთ და უახლოესი მატჩებისთვის ძალიან კარგი განწყობით ვემზადებით. ვფიქრობ, სექტემბრის თამაშები უნდა დავივიწყოთ და სრულად მომავალ შეხვედრებზე ვკონცენტრირდეთ.

საბერძნეთისა და კოსოვოს წინააღმდეგ ნაჩვენები დადებითი შედეგი თავდაჯერების დაბრუნებაში დაგვეხმარება. ამასთან ერთად ძალიან გვსურს, გავიმარჯვოთ და გულშემატკივარი კვლავ გავახაროთ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და საბერძნეთის მატჩი 9 ოქტომბერს ბათუმში 20:00 საათზე დაიწყება, ხოლო კოსოვოსთან თამაში 12 ოქტომბერს პრიშტინაში, 22:45 საათზეა დანიშნული.

# ლეგიონერი კალათბურთელების ამბები



ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატი ბექა ბურჯანაძის ბეტისმა გამარჯვებით გახსნა, მაგრამ, შემდეგ ზედიზედ 3 მატჩი წააგო და 3-ვე დიდი ანგარიშით. ბოლოს ანდალუზიელები ბრეოგანს ესტუმრნენ და 65:97 დამარცხდნენ.

ბურჯანაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 17 წუთში 9 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. ბექამ 5-დან 2 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

ქართველი მძიმე ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტი 14-ს გაუტოლდა და სტუმართა რიგებში მხოლოდ ამერიკელ შენონს ევანსს (15) ჩამორჩა.

სეზონში მეორედ წააგო მურსიამ, რომლის ღირსებასაც საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი თად მაკფადენი იცავს. მურსიელები მალაგის უნიკახასთან 79:84 დამარცხდნენ.

მაკფადენი სასტარტო ხუთეულში იყო და 21 წუთში 12 ქულა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მაკფადენმა 5-დან 2 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო გამოიყენა.

მურსია 2-2 მოგება-წაგებით მე-8 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას შინ, ბილბაოსთან ჩაატარებს. ბურჯანაძის ბეტისი კი, ერთადერთი გამარჯვებით მე-16 პოზიციაზეა და ქულების გაზრდის იმედი არც მომდევნო ტურში უნდა ჰქონდეს – ბარსელონასთან დაუპირისპირდება.

სანდრო სანაძისა და გეგი ბაქრაძის ტამიშ პანჩევომ სერბეთის ჩემპიონატი გამარჯვებით გახსნა, რაშიც ქართველმა კალათბურთელებმა დიდი როლი ითამაშეს. ტამიშმა დუნავს 87:76 სძლია და ქართველი ლეგიონერების ჯამური მონაგარი 26 ქულა იყო.

სანაძემ მოედანზე 29 წუთი გაატარა, რა დროშიც 18 ქულა, 1 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. სანდრომ 7-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო.

ბაქრაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 16 წუთში 8 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. გეგიმ 3-ვე ორქულიანი და 6-დან 2 საჯარიმო გამოიყენა.

სანდროს ძმა, საქართველოს ნაკრების კალათბურთელი დუდა სანაძე ასევე სერბული კლუბის, ბორაცის ღირსებას იცავს, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატს გვიან შეუერთდება, მანამდე კი, მისმა კლუბმა ადრიატიკის ლიგაში სლოვენიურ ცედევიტა ოლიმპიასთან 76:85 წააგო. საქართველოს ნაკრების კალათბურთელი თამაშში არ ჩართულა. არადა, მატჩისწინა მოთელვა სხვებთან ერთად გაიარა.

თორნიკე შენგელიას ცსკა-მ ვითიბი ლიგაში მე-3 მატჩიც დამაჯერებლად მოიგო და ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს, რაშიც ქართველმა კალათბურთელმა დიდი წვლილი შეიტანა.

მოსკოველები ამჯერად ნიჟნი ნოვგოროდს სტუმრობდნენ და 92:72 იმარჯვეს, შენგელია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 24 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 9-დან 5 ორქულიანი, 6-დან 1 სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

ქართველის მოედანზე ყოფნის პერიოდში სტუმრებმა მასპინძლებზე 28 ქულით მეტი ჩააგდეს, შენგელიას სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 23-ს გაუტოლდა და ის მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის (მვპ) მფლობელი გახდა.

ცსკა-ს ვითიბი ლიგაში მომდევნო მატჩი ისევ სტუმრად პერმის პარმასთან ელის. თუმცა, მანამდე, ევროლიგაში 3 შეხვედრას ჩაატარებს – თურქულ ეფესთან, რუსულ ზენიტთან და სერბულ ცრვენა ზვეზდასთან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ნეიტრონის აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა; ლურჯი ფერის იაგუნდი; 3. საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე თანამდებობის პირი; 4. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ტბა ჯავახეთში; 12. ავსტრალიის დედაქალაქი; 13. „ფორმულა-1-ში" მონაწილე ფრანგი ავტომრბოლელი; 16. აცკეტების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 19. მოძველებული მოვლენა, ძველი დროის გადმონაშთი; 21. ქვეწარმავლის შხამი; 23. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება; 7. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 14. ბიბლიის ათი მცნება; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 20. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 22. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. ესპანური ღვინო; 25. თათარაში ამოვლებული ნიგვზიანი ან თხილის ასხმულა; 26. ფრანგული საიუველირო ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არიფანა; 2. კაკანათი; 3. ბითაძე; 4. მუაში; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. სვინგი; 16. ტარიელი; 18. ზურნა; 20. გემა.

**თარაზულად:** 6. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. დაფნე; 10. ბაზალეთი; 11. ხონდრიტი; 15. აკრედიტივი; 17. ჯაფარა; 19. განგსტერი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. კაქტუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თოფურია; 2. პიუზო; 3. გროტესკი; 4. ეფემერა; 5. ვირსალაძე; 9. ვინილი; 12. ფოფოდია; 14. ვირუსი; 15. ეტლი; 17. ლორია; 18. აჟიო.

**თარაზულად:** 6. ჯორჯია; 7. გრინფისი; 8. კუვეზი; 10. ბელგა; 11. სანგვინიკი; 13. შვიდეული; 16. ბოჟოლი; 19. ჟორდანია; 20. რიგოლეტო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1433

ევრო — 3.6453

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2831

100 რუსული რუბლი — 4.3286

## ამინდის პროგნოზი 6 ოქტომბრისათვის




## კლაუდიო რანიერი უოტფორდის მწვრთნელი გახდა



ცნობილი იტალიელი სპეციალისტი კლაუდიო რანიერი უოტფორდის მთავარი მწვრთნელი გახდა და უახლოეს მომავალში ის შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას.

რანიერი წარსულში ბევრი ცნობილი გუნდის თავკაცი იყო და 2016 წელს მან ლესტერი ინგლისის ჩემპიონი გახადა, რაც მაშინ უდიდეს მიღწევად ითვლებოდა. ამის შემდეგ რანიერიმ ბევრი გუნდი გამოიცვალა და საბოლოოდ ის უოტფორდში აღმოჩნდა, თუმცა, დიდი ალბათობით, უოტფორდის გაჩემპიონებას ის ვერ შეძლებს.

## მემფის დეპაი: „ბარსელონას კრიზისიდან გამოსვლა შეუძლია“



ბარსელონას ჰოლანდიელმა შემტევმა მემფის დეპაიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ამჟამად ბარსელონას არცთუ კარგი დრო უდგას, მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლოა მალე შეიცვალოს, თუ ფეხბურთელები სწორი მიმართულებით იმუშავებენ:

– ბარსელონას გულშემატკივრის კარგად მესმის, რადგან ისინი გამარჯვებას არიან მიჩვეულები და ამჟამად ჩვენ კრიზისი გვაქვს, მაგრამ ბარსელონაში გადმოსვლას არასოდეს ვინანებ, რადგან ეს გუნდი ყოველთვის გრანდი იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მამაკაცმა წყლის პისტოლეტით ძარცვისთვის ციხეში 40 წელი გაატარა



აშშ-ში ციხიდან განთავისუფლებისთვის ემზადება დამნაშავე, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიესაჯა ძარცვისთვის, რომელიც საბავშვო წყლის პისტოლეტით ჩაიდინა. მან ციხეში უკვე რამდენიმე ათწლეული გაატარა.

როლფ კესტელი, რომელიც ამჟამად 70 წლისაა, ციხეში მოხვდა დანაშაულისთვის, რომელიც 1981 წელს ჩაიდინა. მამაკაცი არკანზასის შტატის ქალაქ ფორტ-სმიტის სასადილოში შევარდა და პისტოლეტის მსგავსი საგნის მუქარით მისთვის ნავაჭრი თანხის მიცემა მოითხოვა. კესტელის ნადავლი 264 დოლარი აღმოჩნდა. როდესაც მამაკაცი დააკავეს, გაირკვა, რომ მან მოლარე სათამაშო პისტოლეტით დააშინა. ამის მიუხედავად, მას შეიარაღებული ძარცვისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და გისოსებს მიღმა 40 წელი გაატარა.

კესტელის გასათავისუფლებლად უფლებადამცველი ორგანიზაციები იბრძოდნენ. გარდა ამისა, იმ სასადილოს მოლარე, რომელსაც მამაკაცი წყლის პისტოლეტით ემუქრებოდა, ღიად მოითხოვდა მისი პატიმრობიდან განთავისუფლებას.

21 სექტემბერს არკანზასის პირობითი ვადამდელი განთავისუფლების საბჭოს პრეს-მდივანმა დაადასტურა, რომ კესტელის შეწყალების გადაწყვეტილება მიღებულია და ის მალე დატოვებს საპატიმროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

კლიენტი ბარმენს ეკითხება:

– აქ რა, ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბი გახსენით?

– საიდან დაასკვენით?

– სახეზე ვერავის ვცნობ.

●●●

ფოტოგრაფი მამაკაცს ეკითხება:

– როგორი სურათი გნებავთ, დიდი თუ პატარა?

– პატარა.

– მაშინ მასე ფართოდ ნუ იღიმებით.

●●●

ორი თანამშრომელი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომ ხუმრობს ზოგჯერ ასე უკბილოდ ჩვენი უფროსი, მას ხომ იუმორის შესანიშნავი გრძნობა აქვს?

– მლიქვნელების გამოსავლენად!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ მივანიშნო სტუმარს, რომ წასვლის დროა?

– ფინჯანი ჩაი მიუტანე ფეხსაცმელის მაშველით.

●●●

დედაქალაქის სტუმარი ქუჩაში ადგილობრივს აჩერებს და ეკითხება:

– შეგიძლიათ მიპასუხოთ, ამ ქუჩას თუ გავუყვები, ის რკინიგზის სადგური იქნება?

– რკინიგზის სადგური მაშინაც იქ იქნება, თუ იქ საერთოდ არ წახვალ!

●●●

ნისლია. ქალი მანქანით უკან მიჰყვება წინ მიმავალ მანქანას. უცბად წინ მიმავალი მანქანა ამუხრუჭებს და ქალი თავის მანქანით უკნიდან ეჯახება. ქალი მანქანიდან გადმოვიდა, წინა მანქანასთან მიირბინა და მძღოლს დაუყვირა:

– რა ჯანდაბად დაამუხრუჭეთ ასე მკვეთრად?!

– ბოდიშით, მაგრამ მე ჩემ ავტოფარეხში შემოვედი...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი გიგაშვილმა და სანდრო ნებიერიძემ გერმანიაში გაიმარჯვეს



ახალგაზრდა პიანისტებმა გიორგი გიგაშვილმა და სანდრო ნებიერიძემ მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „კისინგერის საფორტეპიანო ოლიმპი“.

გიორგი გიგაშვილმა პირველი ადგილი და მაყურებლის პრიზი დაიმსახურა, მეორე ადგილი კი სანდრო ნებიერიძეს მიენიჭა. კონკურსის მესამე საპრიზო ადგილი გუსტავ პიეკუტმა მიიღო.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გიორგი და სანდრო საერთაშორისო ფესტივალის რჩეულები არიან. მათ მსოფლიო მუსიკალური საზოგადოება კარგად იცნობს. ორივე პიანისტი სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის გამარჯვებულია.

## ირმა გურიელი ილია ჭავჭავაძის მედლით დაჯილდოვდა



პოეტი ირმა გურიელი ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიითა და მედლით დაჯილდოვდა.

80 წლის პოეტს წლის რჩეული იუბილარის წოდება მიენიჭა და ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ჯილდოც მიენიჭა.

ირმა გურიელს პრემია მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა გადასცა.

## გოდერძი ჩოხელი 67 წლის გახდებოდა



მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი 67 წლის გახდებოდა.

მან მთელი თავისი ცხოვრება ქართულ კულტურას მიუძღვნა და მომავალ თაობებს დაუტოვა შესანიშნავი ფილმები, მოთხრობები და ლექსები. გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების მიხედვით საქართველოს თეატრებში სპექტაკლები იდგმება, დაარსებულია მისი სახელობის პრემია.

შემოქმედის ფილმები არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალების გამარჯვებულია. გოდერძი ჩოხელის მთავარი ოცნება საყვარელი საქმის კეთება იყო. მისი პირველი ფილმი იყო „ადგილის დედა“, უკანასკნელი კი „სიყვარულის ცეცხლი“.

გოდერძი ჩოხელი 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი მცხეთის დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

იუბილარი ხელოვანის დაბადების დღე პოეტებმა თავმას ჩოხელმა და გიორგი ლობჟანიძემ გაიხსენეს.

**თავმას ჩოხელი:**

– დაბადების დღეს გილოცავ კაცთაგან დაუფასებელო და უფლისგან დაფასებულო დიდო ადამიანო, ალალ-მართალო, ჭკვიანო და კეთილო, სიკვდილ-სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულო ამაყო გუდამაყრელო, მუდამ ემახსოვრები შენს სამშობლოს საქართველოს, აცხოვნოს ღმერთმა შენი უკვდავი სული, უფალს ებარებოდე. გოდერძი ჩოხელო, მიყვარხარ...

**გიორგი ლობჟანიძე:**

– ჩაიარა გოდერძი ჩოხელის დაბადების დღემაც. ისევ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გვქონდა ყველას, ვიდრე თვითონ გოდერძი იყო თითქოს. ასე ხდებოდა მის სიცოცხლეშიც... ასე მოხდა დღესაც, მაგრამ... მე არასოდეს დამავიწყდება, სანამ ვიცოცხლებ. გოდერძისნაირი მწერალი ბევრი არ ყოფილა. ვერც იქნებოდა, რადგან გოდერძი იყო ერთადერთი და განუმეორებელი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## მეგობრებმა ჩამოწერილი ბანკომატი იყიდეს და გამდიდრდნენ

აშშ-ში მეგობრებმა ჩამოწერილი ბანკომატი იყიდეს, გახსნეს და გამდიდრდნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ახალგაზრდა მეგობრებმა ბანკომატის გახსნის პროცესი ვიდეოზე ჩაწერეს და შემდეგ ის ტიკტოკში განათავსეს. მათი თქმით, ჩამოწერილი ბანკომატი გამოისყიდეს მამაკაცისგან, რომელიც ადრე მათი მომსახურებით იყო დაკავებული. მოწყობილობის ყოფილმა მფლობელმა მათ უთხრა, თუ გინდათ წაიღეთ, რაც შიგნით აღმოჩნდება თქვენი იქნება.

მეგობრებმა ბანკომატში 300 დოლარი გადაიხადეს, თუმცა მის მფლობელს მისი გასახსნელი გასაღები არ აღმოაჩნდა. მაშინ მეგობრებმა ბანკომატი დაშალეს და შიგნით ჩაკეტილ სეიფს მიაგნეს, რომელშიც ფულის შეკვრა აღმოჩნდა. მისი დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დიდი ხნის წინ ჩამოწერილ ბანკომატში ორი ათასი დოლარი ინახებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



6 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **კურო** – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ნეგატიური დღეა. კოლეგებთან და ნათესავებთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **კირჩხიბი** – მოთმინება დღის დევიზია. ერიდეთ დაუფიქრებელ მოქმედებებსა და მკვეთრ გამონათქვამებს. **ლომი** – საქმიანი შეხვედრები, საბუთების გაფორმება დიდ დროს წაგართმევთ. აქტიურობა არ ღირს. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – საკუთარი პოზიციები მტკიცედ დაიცავით. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან – ქუჩაში, სახლში, სამსახურში. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – ნაცნობებთან, კოლეგებთან ზომიერება დაიცავით. თავს ემოციების გამოვლენის უფლებას ნუ მისცემთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – ნეგატიურ აზრებს გასაქანს ნუ მისცემთ. მშვიდად იმუშავეთ. ენერგია დაზოგეთ. **თევზები** – ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ან მცირე კამათი გარშემომყოფებთან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჯავახური პური; 2. ბარიტის საბადო რაჭაში; 3. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 4. ციხე-სიმაგრე გერმანიის ქალაქებში ძველად; 5. ფრანგული სამოდელო ფირმა; 8. თანდაყოლილი ლაქა ადამიანის სხეულზე; 9. ცირკის მასხარა; 10. პირობა. რომელიც უზრუნველყოფს რაიმე წარმატებას; 12. ნიდერლანდების ფეხბურთელთა გუნდი; 13. კუთხე საქართველოში; 15. კრიმინალი ადამიანის, ხულიგნის, ქურდის, ბანდიტის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში.

**თარაზულად:** 1. ნეფერტიტის ქანდაკების ავტორი; 6. ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 7. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 10. ფრანგი მოდელიერი; 11. ფარისეველი, ფლიდი, გაიძვერა ადამიანი; 13. აკვიატებული შიში; 14. ფულის ერთეული სომხეთში; 16. საჭმელი სოკო; 17. სამცხე-ჯავახეთის მმართველთა ტიტული; 18. გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი.

*შეადგინა ტ.გოგინაშვილმა*

